საქართველოს კანონი

საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი და მოქმედების სფერო

1. ამ კანონის მიზანია საქართველოს საგადახდო სისტემის უსაფრთხო, მდგრადი და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა, საგადახდო მომსახურების სათანადო განხორციელების უზრუნველყოფა და საგადახდო მომსახურების მომხმარებლების უფლებების დაცვა. ეს კანონი განსაზღვრავს საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების რეგულირებისა და ზედამხედველობის პრინციპებს, საგადახდო სისტემის მონაწილეების, საგადახდო მომსახურების განხორციელებაში ჩართული მხარეების, საგადახდო მომსახურების მომხმარებლების უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს.

2. საგადახდო სისტემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, ეს კანონი, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები.

3. საგადახდო სისტემასთან და საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში ამ კანონსა და სხვა კანონებს შორის კოლიზიის წარმოშობის შემთხვევაში ამ კანონის დებულებებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა.

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5681 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საგადახდო სისტემა – ფულადი სახსრების საგადახდო სისტემა, ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემა, კლირინგის სისტემა;

ბ) ფულადი სახსრების საგადახდო სისტემა – საერთო წესებისა და სტანდარტული პროცედურების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი სახსრების გადარიცხვის ოპერაციების ან ტრანსფერორდერების დამუშავებას;

გ) ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემა – სისტემის სამ ან მეტ მონაწილეს შორის საერთო წესებისა და სტანდარტული პროცედურების ერთობლიობა, რომლის საფუძველზედაც ხორციელდება ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორება;

დ) კლირინგის სისტემა – სისტემის სამ ან სამზე მეტ მონაწილეს შორის საერთო წესებისა და სტანდარტული პროცედურების ერთობლიობა, რომლის საშუალებითაც ხდება კლირინგი და ნეტპოზიციების გამოთვლა ან/და დადგენა მონაწილეებს შორის შემდგომი ანგარიშსწორებისთვის და რომელშიც ნეტპოზიციების გამოთვლა შეიძლება ემყარებოდეს პრინციპს, რომლის დროსაც სისტემის ოპერატორი მოქმედებს გამყიდველის სახელით ყველა მყიდველის მიმართ და მყიდველის სახელით ყველა გამყიდველის მიმართ;

დ[1]) კლირინგი – ანგარიშსწორებამდე ოპერაციის გადაცემის, რეკონსილაციის და, არსებობის შემთხვევაში, დადასტურების პროცესი. კლირინგი შესაძლოა აგრეთვე მოიცავდეს ოპერაციების ურთიერთგაქვითვას და ანგარიშსწორებისთვის საბოლოო პოზიციების დადგენას;

ე) ნეტპოზიცია – დროის განსაზღვრული მომენტისთვის სისტემის მონაწილის მიერ მიღებული ყველა ჩარიცხვის ან სხვა მოთხოვნის ოდენობების ჯამს გამოკლებული მის მიერ სხვა მონაწილის ან მონაწილეთა სასარგებლოდ განხორციელებული ყველა გადარიცხვის ან სხვა ვალდებულების ჯამი;

ვ) საკრედიტო ნეტპოზიცია (ნეტმოთხოვნა) – სისტემის მონაწილის ნეტპოზიციის დადგენისას მიღებული დადებითი სიდიდე;

ზ) სადებეტო ნეტპოზიცია (ნეტვალდებულება) – სისტემის მონაწილის ნეტპოზიციის დადგენისას მიღებული უარყოფითი სიდიდე;

თ) ურთიერთგაქვითვა (ნეტინგი) – ნეტპოზიციის გამოთვლა ან/და დადგენა, რის შედეგადაც სისტემის მონაწილეს წარმოეშობა ნეტმოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება ან ნეტვალდებულების დაფარვის მოვალეობა. ურთიერთგაქვითვა (ნეტინგი) ხდება როგორც ორმხრივი (ორ მონაწილეს შორის), ისე მრავალმხრივი (ორზე მეტ მონაწილეს შორის) საერთო ვალდებულებებისა და მოთხოვნების გაანგარიშების – ურთიერთჩათვლის – საფუძველზე;

ი) სისტემის ოპერატორი (ოპერატორი) – იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დამოუკიდებლად ან სხვა იურიდიულ პირებთან ერთად, უფლებამოსილია და პასუხისმგებელია საგადახდო სისტემის ოპერირებისა და სისტემის წესების შემუშავებისთვის;

კ) სისტემის წესები – სისტემის ოპერატორის მიერ შემუშავებული წესებისა და პროცედურების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს სისტემის მუშაობას;

ლ) მნიშვნელოვანი სისტემა – სისტემა, რომელსაც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ამ კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად მიანიჭა მნიშვნელოვანი სისტემის სტატუსი;

მ) სისტემის მონაწილე (მონაწილე) – იურიდიული პირი, რომელსაც უშუალოდ შეუძლია სისტემაში ტრანსფერორდერის გაცემა და რომელიც მიჩნეულია სისტემის მონაწილედ სისტემის წესების შესაბამისად. სისტემის მონაწილე შეიძლება იყოს საქართველოს ეროვნული ბანკი, უცხოური ცენტრალური ბანკი, საკლირინგო დაწესებულება, ფინანსური ინსტიტუტი, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, ანგარიშსწორების აგენტი, სისტემის ოპერატორი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ან მისი სტრუქტურული ერთეული, სხვა ქვეყნის სახელმწიფო ორგანო ან საგადახდო სისტემა;

ნ) ანგარიშსწორების აგენტი – იურიდიული პირი, რომელიც სისტემის მონაწილეებს უზრუნველყოფს ანგარიშსწორების ანგარიშებით, რომელთა მეშვეობითაც ხდება მონაწილეთა შორის ანგარიშსწორება სისტემაში შესრულებული ტრანსფერორდერების საფუძველზე. ანგარიშსწორების აგენტი შეიძლება იყოს საქართველოს ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკი, რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ან სხვა იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია განახორციელოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშების გახსნა და მომსახურება;

ო) ანგარიშსწორების ანგარიში – ანგარიშსწორების აგენტის შესაბამისი უნიკალური ჩანაწერი, რომელზედაც აღირიცხება ფულადი სახსრები ან ფინანსური ინსტრუმენტები და რომლის მეშვეობითაც ხდება ანგარიშსწორება;

პ) ანგარიშსწორება – ოპერაცია, რომლის შედეგადაც ხდება სისტემის მონაწილეებს შორის შესაბამის ფულად სახსრებზე ან/და ფინანსურ ინსტრუმენტებზე საკუთრების უფლების გადაცემა;

ჟ) ტრანსფერორდერი – სისტემის მონაწილის მიერ მეორე მონაწილის მიმართ სისტემაში გაცემული დავალება მიმღებისთვის ფულადი სახსრების ჩარიცხვის შესახებ ან ფინანსურ ინსტრუმენტზე საკუთრების ან მოთხოვნის უფლების გადაცემის შესახებ; ან დავალება, რომლის შედეგადაც ხდება მონაწილის მიერ გადახდის ვალდებულების საკუთარ თავზე აღება ან გადახდის ვალდებულების სისტემის წესების შესაბამისად შესრულება;

რ) ფინანსური ინსტიტუტი – „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინსტიტუტი;

ს) ფინანსური ინსტრუმენტი – „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფინანსური ინსტრუმენტი;

ტ) (ამოღებულია - 20.12.2019, №5681);

უ) საქმიანობის შეზღუდული რეჟიმი (რეჟიმი) – „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქმიანობის შეზღუდული რეჟიმი (რეჟიმი);

ფ) (ამოღებულია - 20.12.2019, №5681);

ქ) ფინანსური გირავნობა – „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფინანსური გირავნობა;

ღ) (ამოღებულია - 20.12.2019, №5681);

ყ) (ამოღებულია - 20.12.2019, №5681);

შ) (ამოღებულია - 20.12.2019, №5681);

ჩ) საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (პროვაიდერი) – იურიდიული პირი, რომელიც საგადახდო მომსახურების მომხმარებელს უწევს საგადახდო მომსახურებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ც) ელექტრონული ფულის პროვაიდერი – საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, რომელიც უშვებს ელექტრონულ ფულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ძ) საგადახდო მომსახურების მომხმარებელი (მომხმარებელი) – პირი, რომელიც სარგებლობს საგადახდო მომსახურებით, როგორც გადამხდელი ან/და მიმღები;

წ) გადამხდელი – პირი, რომელიც გასცემს საგადახდო დავალებას ან/და ეთანხმება საგადახდო დავალების გაცემას;

ჭ) მიმღები – პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება გადახდის ოპერაცია;

ხ) საგადახდო ინსტრუმენტი – ტექნიკური საშუალება ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერსა და მომხმარებელს შორის შეთანხმებული პროცედურების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც საგადახდო მომსახურების მომხმარებელი ახდენს საგადახდო დავალების ინიციირებას;

ჯ) ელექტრონული ფულის ინსტრუმენტი – საგადახდო ინსტრუმენტი, რომელიც იძლევა ელექტრონული ფულის გამოყენების საშუალებას;

ჰ) ელექტრონული ფული – ელექტრონული ფულის პროვაიდერის მიერ გადახდის ოპერაციების განხორციელების მიზნით მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრების ნომინალური ღირებულება, რომელიც შენახულია ელექტრონულად (მათ შორის, მაგნიტურ მატარებელზე) და რომელსაც გადახდის საშუალებად, მისი გამომშვების გარდა, მესამე პირებიც აღიარებენ;

ჰ[1]) ფულადი გზავნილი – საგადახდო მომსახურება, რომლის დროსაც გადამხდელისგან ფულადი სახსრების მიღება ხორციელდება მხოლოდ მიმღებისთვის ან მისი სახელით მოქმედი სხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის გადასაცემად ან/და ფულადი სახსრების მიღება ხორციელდება მიმღების სახელით და უზრუნველყოფილია ამ ფულადი სახსრების მიმღებისთვის ხელმისაწვდომობა. ფულადი გზავნილი ხორციელდება გადამხდელის ან/და მიმღების სახელზე საგადახდო ანგარიშების გახსნის გარეშე;

ჰ[2]) გადახდის ოპერაცია – გადამხდელის ან მიმღების მიერ ინიციირებული ფულადი სახსრების

განთავსების/ჩარიცხვის, გადარიცხვის ან გატანის ოპერაცია;

ჰ[3]) საგადახდო დავალება – გადამხდელის ან მიმღების მიერ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისათვის მიცემული დავალება გადახდის ოპერაციის განხორციელების თაობაზე;

ჰ[4]) მუდმივი დავალება – გადამხდელის მიერ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისათვის მიცემული საგადახდო დავალება, რომლის საფუძველზედაც პროვაიდერი ახორციელებს რეგულარულ გადახდებს მიმღების სასარგებლოდ;

ჰ[5]) პირდაპირი დებეტი – საგადახდო ინსტრუმენტი, რომელშიც გადახდის ოპერაცია ინიციირებულია მიმღების მიერ გადამხდელის საგადახდო ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის (დადებეტების) მიზნით, გადამხდელის მიერ მიმღებისთვის, მიმღების პროვაიდერისთვის ან გადამხდელის პროვაიდერისთვის გაცემული წინასწარი თანხმობის საფუძველზე;

ჰ[6]) ავთენტიფიკაცია – პროცედურა, რომელიც საგადახდო მომსახურების პროვაიდერს საშუალებას აძლევს, მოახდინოს საგადახდო მომსახურების მომხმარებლის ამოცნობა/იდენტობის დადგენა ან საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენების ვალიდურობის დადგენა, რომელიც, მათ შორის, მოიცავს გამოყენებული უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლების შემოწმებას;

ჰ[7]) ექვაირინგი – საგადახდო მომსახურება, რომელსაც საგადახდო მომსახურების პროვაიდერი მიმღებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს და რომელიც მოიცავს გადახდის ოპერაციის მიღებასა და დამუშავებას, რის შედეგადაც ფულადი სახსრები გადაირიცხება მიმღებთან;

ჰ[8]) აგენტი – პირი, რომელიც საგადახდო მომსახურების მიწოდებისას მოქმედებს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სახელით;

ჰ[9]) მნიშვნელოვანი წილი – განცხადებული თუ შევსებული კაპიტალის წილის 10 პროცენტი ან 10 პროცენტზე მეტი, რომელსაც პირი ფლობს კაპიტალში პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობით;

ჰ[10]) ვალდებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებები – „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებები;

ჰ[11]) მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაცია – ავთენტიფიკაცია, რომელიც დამყარებულია ორი ან ორზე მეტი შემდეგი სხვადასხვა კატეგორიის ელემენტის გამოყენებაზე: ცოდნა (ის, რაც მხოლოდ მომხმარებელმა იცის), ფლობა (ის, რასაც მხოლოდ მომხმარებელი ფლობს) და უნიკალურობა (ის, რაც თვით მომხმარებელია); ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელია იმგვარად, რომ ერთი კატეგორიის ელემენტის ნებისმიერი გზით გამჟღავნება არ გამოიწვევს დანარჩენი კატეგორიების ელემენტის/ელემენტების საიმედოობის კომპრომეტირებას. ავთენტიფიკაციის პროცედურა შემუშავებული და დანერგილი უნდა იყოს იმგვარად, რომ მისი განხორციელებისას დაცულ იქნეს ავთენტიფიკაციის მონაცემების კონფიდენციალურობა;

ჰ[12]) უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლები – პერსონიფიცირებული მახასიათებლები, რომლებსაც საგადახდო მომსახურების პროვაიდერი აწვდის საგადახდო მომსახურების მომხმარებელს ავთენტიფიკაციის მიზნით;

ჰ[13]) გადახდის ინიციირების მომსახურება – საგადახდო მომსახურების მომხმარებლის მოთხოვნის საფუძველზე სხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან არსებული საგადახდო ანგარიშიდან საგადახდო დავალების ინიციირების მომსახურება;

ჰ[14]) ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურება – ერთ ან ერთზე მეტ საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან არსებული საგადახდო მომსახურების მომხმარებლის ერთი ან ერთზე მეტი საგადახდო ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად განკუთვნილი ონლაინმომსახურება;

ჰ[15]) ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერი – საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, რომელიც გადამხდელს უზრუნველყოფს საგადახდო ანგარიშით და უწევს ამ ანგარიშით მომსახურებას;

ჰ[16]) გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერი – საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, რომელიც ახორციელებს გადახდის ინიციირების მომსახურებას;

ჰ[17]) ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერი – საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, რომელიც ახორციელებს საგადახდო ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურებას;

ჰ[18]) სენსიტიური საგადახდო მონაცემი – მონაცემები, მათ შორის, უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია თაღლითური ოპერაციის განხორციელება. გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერისა და ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერის მიერ განხორციელებული მომსახურებისთვის საგადახდო ანგარიშის მფლობელის სახელი და საგადახდო ანგარიშის ნომერი არ წარმოადგენს სენსიტიურ საგადახდო მონაცემს;

ჰ[19]) საკომისიო – საკომისიო, აგრეთვე მომხმარებლის ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულება, რომლებიც შინაარსობრივად პროვაიდერის მიერ მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევის საფასურს წარმოადგენს;

ჰ[20]) ურთიერთგაცვლის საკომისიო – საკომისიო, რომლის გადახდა ხდება მიმღებისა და გადამხდელის პროვაიდერებს შორის თითოეული გადახდის ოპერაციისთვის;

ჰ[21]) ქო-ბეჯინგი – საგადახდო ინსტრუმენტზე ორი ან ორზე მეტი საგადახდო ბრენდის ან ერთი საგადახდო

ბრენდის ორი ან ორზე მეტი საგადახდო პროგრამული უზრუნველყოფის არსებობა;

ჰ[22]) უნიკალური იდენტიფიკატორი – ასოების, ციფრების ან სიმბოლოების უნიკალური კომბინაცია, რომელიც საგადახდო მომსახურების პროვაიდერმა საგადახდო მომსახურების მომხმარებელს მიაწოდა. უნიკალური იდენტიფიკატორი მომხმარებელმა უნდა წარმოადგინოს გადახდის ოპერაციის შესრულებისთვის სხვა მომხმარებლის ან/და ამ უკანასკნელის საგადახდო ანგარიშის ცალსახად ამოსაცნობად/დასადგენად;

ჰ[23]) სარგებლის თარიღი – საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ საგადახდო ანგარიშიდან დადებეტებულ და საგადახდო ანგარიშზე დაკრედიტებულ ფულად სახსრებზე პროცენტის (როგორც მისაღები, ისე გადასახდელი) გამოსაანგარიშებლად გამოსაყენებელი სახელმძღვანელო თარიღი;

ჰ[24]) საგადახდო ანგარიში – ერთი ან ერთზე მეტი მომხმარებლის სახელზე არსებული ანგარიში, მათ შორის, ელექტრონული ფულის ანგარიში, რომელიც გამოიყენება გადახდის ოპერაციების შესასრულებლად;

ჰ[25]) ემიტენტი – პროვაიდერი, რომელიც ახდენს საგადახდო ინსტრუმენტის გამოშვებას, რომლითაც შესაძლებელია გადახდის ოპერაციის ინიციირება;

ჰ[26]) ჩარჩოხელშეკრულება – საგადახდო მომსახურების შესახებ ნებისმიერი შეთანხმება (ცალკე არსებული ან სხვა შეთანხმების ნაწილი), რომელიც არეგულირებს ცალკეული და შემდგომი გადახდის ოპერაციების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს და შესაძლოა მოიცავდეს საგადახდო ანგარიშის გახსნის ვალდებულებასა და პირობებს;

ჰ[27]) ფულადი სახსრები – ბანკნოტები, მონეტები, ფული საგადახდო და საბანკო ანგარიშებზე;

ჰ[28]) საგადახდო ბრენდი – მატერიალური ან ციფრული ფორმით არსებული სახელწოდება, ტერმინი, ნიშანი, სიმბოლო ან მათი კომბინაცია, რომელთა საშუალებით შესაძლებელია იმ საგადახდო სქემის განსაზღვრა, რომლითაც სრულდება გადახდის, მათ შორის, საბარათე, ოპერაციები;

ჰ[29]) საგადახდო სქემა – საერთო წესებისა და სტანდარტული პროცედურების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს საგადახდო ინსტრუმენტით განხორციელებული გადახდის ოპერაციების დამუშავების წესებს და რომელსაც მართავს (მართავენ) შესაბამისი პასუხისმგებელი იურიდიული პირი (პირები). საგადახდო სქემა არ მოიცავს ამ წესების საფუძველზე მოქმედ ინფრასტრუქტურასა და საგადახდო სისტემას;

ჰ[30]) ციფრული შიგთავსი/ინფორმაცია – საქონელი ან მომსახურება, რომელსაც არ აქვს ფიზიკური ფორმა, მისი შექმნა და მიწოდება ხორციელდება ციფრული ფორმით, გამოყენება ან/და მოხმარება შესაძლებელია მხოლოდ ტექნიკური მოწყობილობით და რომელიც არ მოიცავს ფიზიკური ფორმის მქონე საქონლის ან მომსახურების გამოყენებას ან/და მოხმარებას;

ჰ[31]) კომერციული შუამავალი – პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, იმოქმედოს მხოლოდ გადამხდელის ან მხოლოდ მიმღების სახელით საქონლის ან/და მომსახურების გაყიდვისას ან შეძენისას;

ჰ[32]) ჯგუფი – იურიდიული პირების ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ერთ-ერთი შემდეგი ურთიერთობით:

ჰ[32].ა) ერთი იურიდიული პირი ფლობს მეორე იურიდიული პირის ხმის უფლების მქონე წილების უმრავლესობას;

ჰ[32].ბ) ერთ იურიდიულ პირს უფლება აქვს, დანიშნოს ან/და გაათავისუფლოს მეორე იურიდიული პირის მმართველობითი ან/და საზედამხედველო ორგანოების წევრთა ნახევარზე მეტი, თუ იგი პირდაპირ ან არაპირდაპირ არის ამ მეორე იურიდიული პირის წილის მფლობელი;

ჰ[32].გ) ერთ იურიდიულ პირს დომინირებული გავლენა აქვს ან აკონტროლებს მეორე იურიდიულ პირს მასთან დადებული ხელშეკრულების ან მეორე იურიდიული პირის წესდების საფუძველზე;

ჰ[32].დ) იურიდიული პირები იმყოფებიან მესამე პირის ერთიანი მმართველობის ქვეშ;

ჰ[32].ე) იურიდიული პირების მმართველობითი ან/და საზედამხედველო ორგანოების წევრთა უმრავლესობა ერთი და იგივე პირები არიან;

ჰ[33]) საბანკო დღე – კალენდარული დღე, როდესაც ხორციელდება გადარიცხვის ოპერაციები საქართველოს ეროვნული ბანკის დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის საშუალებით;

ჰ[34]) ქო-ბრენდი – ერთსა და იმავე საგადახდო ინსტრუმენტზე სულ მცირე ერთი საგადახდო ბრენდის და სულ მცირე ერთი არასაგადახდო ბრენდის არსებობა.

საქართველოს 2015 წლის 12 ივნისის კანონი №3719 - ვებგვერდი, 24.06.2015წ.
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5665 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5681 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

თავი II. სისტემის ოპერატორი

მუხლი 3. სისტემის ოპერატორის რეგისტრაცია

1. იურიდიულ პირს უფლება აქვს, საქართველოს ტერიტორიაზე განახორციელოს საგადახდო სისტემის

მართვა მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამ კანონის შესაბამისად სისტემის ოპერატორად დარეგისტრირების შემთხვევაში.

2. სისტემის ოპერატორის რეგისტრაცია და რეგისტრაციის გაუქმება ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესისა და მოთხოვნების შესაბამისად.

3. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საგადახდო მომსახურების ხელმისაწვდომობისა და დაუბრკოლებელი განხორციელების ხელშეწყობის, აგრეთვე საგადახდო სისტემის საიმედო, უსაფრთხო, ეფექტიანი და ეფექტური ფუნქციონირების, საგადახდო სისტემების ურთიერთთავსებადობის უზრუნველსაყოფად დაადგინოს შესაბამისი მოთხოვნები.

3[1]. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საგადახდო სისტემებისა და საგადახდო მომსახურების ეფექტურობისა და ეფექტიანობის ხელშეწყობის მიზნით სისტემის ოპერატორის მიმართ სამართლებრივი აქტით დაადგინოს მოთხოვნები, აგრეთვე მოითხოვოს საგადახდო სისტემაში დაგეგმილი იმ ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მისთვის 30 კალენდარული დღით ადრე მიწოდება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სისტემის მონაწილის მიერ ან/და მომხმარებლებისთვის შესაბამისი მომსახურების გაწევაზე.

4. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი წესით სისტემის ოპერატორს მოსთხოვოს და მიიღოს ფინანსური, სტატისტიკური და სხვა ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

5. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით განსაზღვროს სისტემის ოპერატორის ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმები.

6. პირი, რომელიც სისტემის ოპერატორის მნიშვნელოვანი წილის შეძენას აპირებს, ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს განაცხადი და საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ინფორმაცია/დოკუმენტაცია. აღნიშნულის თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკი გადაწყვეტილებას იღებს ინფორმაციის წარდგენიდან 1 თვის ვადაში. ამ ვადაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პასუხის გაუცემლობა ავტომატურად ნიშნავს შესაბამისი გარიგების განხორციელებაზე თანხმობის მიცემას.

7. თუ ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად საქართველოს ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ პოტენციური შემძენის შესახებ წარმოდგენილია არასაკმარისი ან/და არაზუსტი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, მას უფლება აქვს, დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია მოსთხოვოს უშუალოდ პოტენციურ შემძენს ან/და სისტემის ოპერატორს. ამ შემთხვევაში ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება შეჩერდება დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენამდე.

8. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით განსაზღვროს სისტემის ოპერატორის მნიშვნელოვანი წილის შეძენასთან დაკავშირებით პოტენციური შემძენის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის შეტყობინების წესი, ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარუდგენლობასა და, საქართველოს ეროვნული ბანკისგან დასაბუთებული უარის მიღების მიუხედავად, მნიშვნელოვანი წილის შეძენასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 4. მნიშვნელოვანი სისტემა

1. ამ კანონის მიზნებისთვის საზოგადოების ნდობის, საგადახდო სისტემის, ფინანსური სისტემის სტაბილურობის შესანარჩუნებლად ან/და საგადახდო სისტემის სოციალური ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი წესით საგადახდო სისტემას მიანიჭოს სისტემურად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის ან გამორჩეულად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის სტატუსი, აგრეთვე განსაზღვროს სისტემურად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემისა და გამორჩეულად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის კრიტერიუმები და ამ სისტემის ან/და მისი ოპერატორის მიმართ, მათ შორის, კაპიტალისა და აქტივების მიმართ, დაადგინოს მოთხოვნები.

2. ცენტრალური დეპოზიტარის და ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემა წარმოადგენს სისტემურად მნიშვნელოვან სისტემას. ცენტრალური დეპოზიტარი ვალდებულია დაიცვას სისტემურად მნიშვნელოვანი სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნები.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 5. ოპერატორად რეგისტრაციისგან გამონაკლისი და საგადახდო სისტემის დანერგვა

1. ამ თავით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნები სისტემის ოპერატორზე არ ვრცელდება, თუ იგი არის:

ა) საქართველოს ეროვნული ბანკი (საქართველოს ეროვნული ბანკის სისტემები);

ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ცენტრალური დეპოზიტარი;

გ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი ან მიკრობანკი;

დ) საგადახდო მომსახურების პროვაიდერი და ეს სისტემა გამოიყენება მხოლოდ ამ პროვაიდერის

მომხმარებელთათვის საგადახდო მომსახურების გასაწევად.

2. საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, მათ შორის, კომერციული ბანკი, უფლებამოსილია დანერგოს საგადახდო სისტემა. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს საგადახდო სისტემის დანერგვამდე წინასწარ, არაუგვიანეს ამ სისტემის დანერგვაზე ვალდებულების აღებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მიაწოდოს აღიშნული საგადახდო სისტემის აღწერა. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია. საქართველოს ეროვნული ბანკი სისტემის დანერგვის უფლებამოსილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ შესაბამისი აღწერის, ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში. დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში აღნიშნული ვადის დინება შეჩერდება დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენამდე.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.
საქართველოს 2023 წლის 22 თებერვლის კანონი №2610 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.

მუხლი 5[1]. საგადახდო სისტემაზე წვდომა

1. ოპერატორი, მათ შორის, პროვაიდერი, როგორც საგადახდო სისტემის ოპერატორი, ვალდებულია დაადგინოს მის საგადახდო სისტემაზე პროვაიდერების წვდომის, აგრეთვე საგადახდო სისტემაში მონაწილეობის წესები და პირობები. საგადახდო სისტემის მიმართ ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება საგადახდო სქემაზედაც (მათ შორის, უცხოურ სქემაზე), გარდა ისეთი საგადახდო სქემისა, რომლის ფარგლებში გამოშვებული საგადახდო ინსტრუმენტით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული გადახდის ოპერაციების თანხის ჯამური მოცულობა წლიურად არ აღემატება სხვა საგადახდო სქემის იმავე ტიპის საგადახდო ინსტრუმენტით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული გადახდის ოპერაციების თანხის ჯამური მოცულობის 3 პროცენტს.

2. საგადახდო სისტემაზე წვდომის, საგადახდო სისტემაში მონაწილეობის წესები და პირობები:

ა) უნდა იყოს ობიექტური, პროპორციული და არადისკრიმინაციული;

ბ) არ უნდა იწვევდეს საგადახდო სისტემაში მონაწილეობის/საგადახდო სისტემაზე წვდომის შეზღუდვას იმაზე მეტად, ვიდრე ეს საჭიროა საგადახდო სისტემის ფინანსური და საოპერაციო მდგრადობის ან კონკრეტული რისკებისგან (როგორებიცაა: ანგარიშსწორების რისკები, საოპერაციო რისკები, ბიზნესრისკები) დასაცავად.

3. ოპერატორს არ აქვს უფლება, მის სისტემაზე წვდომისთვის პროვაიდერებს, მომხმარებლებს ან სხვა ოპერატორს დაუწესოს:

ა) შეზღუდვები სხვა საგადახდო სისტემებში მონაწილეობასთან დაკავშირებით;

ბ) მოთხოვნები, რომლებიც სისტემის ცალკეულ მონაწილეებს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს;

გ) შეზღუდვები მათი ინსტიტუციური სტატუსის ნიშნით და სხვა შეზღუდვები, რომლებიც მონაწილეს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

4. ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები არ ვრცელდება შემდეგ საგადახდო სისტემებზე:

ა) საგადახდო სისტემაზე, რომლის მონაწილე ყველა პროვაიდერი წარმოადგენს ერთი ჯგუფის წევრს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისტემაში სხვა პროვაიდერების მონაწილეობა საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება;

ბ) საგადახდო სისტემაზე, რომლის მართვისთვის პასუხისმგებელია საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, თუ იგი წარმოადგენს როგორც გადამხდელის, ისე მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერს.

5. თუ საგადახდო სისტემის მონაწილე სხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, რომელიც ამ სისტემის მონაწილე არ არის, შესაძლებლობას აძლევს, ამ სისტემის გავლით გადასცეს ტრანსფერორდერები, სისტემის ეს მონაწილე ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, სხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერს/პროვაიდერებს მისცეს იგივე შესაძლებლობა ობიექტურ, პროპორციულ და არადისკრიმინაციულ საფუძველზე. მოთხოვნაზე (მათ შორის, მოთხოვნის ნაწილზე) უარის თქმის შემთხვევაში სისტემის მონაწილე ვალდებულია შესაბამის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს აცნობოს უარის თქმის შესახებ, აგრეთვე წარუდგინოს საფუძვლიანი დასაბუთება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამ პუნქტით გათვალისწინებული უარის თქმის შემთხვევაში სისტემის მონაწილე ვალდებულია უარის თქმიდან არაუმეტეს 7 კალენდარული დღის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ ბანკს მიაწოდოს აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია და საფუძვლიანი დასაბუთება.

6. თუ რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის საჯარო ფასიანი ქაღალდების ან/და აქტივების, ვალდებულებების, უფლებებისა და მოთხოვნების შემძენი არ აკმაყოფილებს საგადახდო სისტემაში მონაწილეობისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, გამონაკლისის სახით, საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, იგი საგადახდო სისტემაში შეიძლება დაშვებულ იქნეს არაუმეტეს 24 თვისა.

საქართველოს 2015 წლის 12 ივნისის კანონი №3719 - ვებგვერდი, 24.06.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5665 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

თავი III. სისტემების დაცვა

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 6. ამ თავის მოქმედების სფერო

1. ამ თავის მოქმედება ვრცელდება ამ კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული სისტემის ოპერატორების საგადახდო სისტემებზე და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული ოპერატორების საგადახდო სისტემებზე.

2. საქართველოს ეროვნული ბანკი აქვეყნებს რეგისტრირებული ოპერატორების საგადახდო სისტემებს.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 7. ანგარიშსწორების ანგარიშების დაცვა

1. ანგარიშსწორების ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვალდებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებები, გარდა საინკასო დავალებისა.

2. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სისტემის ოპერატორს ან/და ანგარიშსწორების აგენტს თავის მიერ დადგენილი წესით განუსაზღვროს მოთხოვნები ანგარიშსწორების ანგარიშებისა და მათზე განთავსებული ფულადი სახსრების და ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ.

3. სისტემის ოპერატორი ან/და ანგარიშსწორების აგენტი უფლებამოსილია შესაბამისი სისტემის წესებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დროებით შეაჩეროს ოპერაციები სისტემის მონაწილის ანგარიშსწორების ანგარიშზე. სისტემის ოპერატორი ან/და ანგარიშსწორების აგენტი ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოყენებისას ვალდებულია იხელმძღვანელოს სისტემის მონაწილის ან/და ფინანსური სისტემის სტაბილურობის ინტერესებით.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.

მუხლი 8. ტრანსფერორდერის გამოთხოვის დაუშვებლობა

სისტემის წესები უნდა განსაზღვრავდეს გარემოებას, რომლის შემდეგ სისტემაში შესული ტრანსფერორდერი სისტემის მიერ მიღებულად ითვლება. დაუშვებელია სისტემის მიერ მიღებული ტრანსფერორდერის სისტემის მონაწილის ან ნებისმიერი მესამე პირის, მათ შორის, ლიკვიდატორის, გაკოტრების მმართველის, დროებითი ადმინისტრატორისა და სპეციალური მმართველის, აგრეთვე ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების, მიერ გამოთხოვა.

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5665 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 9. გადახდის, კლირინგის და ანგარიშსწორების საბოლოობა

1. სისტემის მონაწილის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებას არ აქვს უკუქცევითი ძალა და გავლენას არ ახდენს სისტემაში მის მონაწილეობასთან დაკავშირებულ ან მონაწილეობიდან გამომდინარე იმ უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებამდე წარმოიშვა.

2. ამ თავის მიზნებისათვის, ეროვნული ბანკის სისტემების მონაწილის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებად მიიჩნევა:

ა) ამ კანონის მე-11 მუხლის თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოსგან მონაწილის მიმართ ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობის ან/და გაკოტრების პროცესის დაწყების შესახებ შეტყობინების მიღება;

ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოცემა, თუ მონაწილე არის კომერციული ბანკი ან მიკრობანკი;

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისაგან შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიღება, თუ მონაწილე სადაზღვევო ორგანიზაციაა;

დ) სხვა უფლებამოსილი პირისგან მონაწილის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედების თაობაზე ოფიციალური ინფორმაციის მიღება.

3. იმ სისტემის მონაწილის მიმართ, რომლის ოპერატორიც არ არის საქართველოს ეროვნული ბანკი, საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებად მიიჩნევა:

ა) ოპერატორის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიღება, თუ მონაწილე არის კომერციული ბანკი ან მიკრობანკი;

ბ) ოპერატორის მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიღება, თუ მონაწილე სადაზღვევო ორგანიზაციაა;

გ) ამ კანონის მე-11 მუხლის თანახმად ოპერატორის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისგან შესაბამისი შეტყობინების მიღება;

დ) სხვა უფლებამოსილი პირისგან მონაწილის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედების

თაობაზე ოფიციალური ინფორმაციის მიღება.

4. ამ პუნქტის მოთხოვნები სავალდებულოა მესამე პირებისთვის, მათ შორის, ლიკვიდატორისთვის, გაკოტრების მმართველისთვის, დროებითი ადმინისტრატორისა და სპეციალური მმართველისთვის, აგრეთვე ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოებისთვის, და არ შეიძლება სადავო გახდეს:

ა) ის ტრანსფერორდერი, რომელიც სისტემის წესების მიხედვით სისტემის მიერ მიღებულ იქნა საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებამდე, მიუხედავად იმისა, ამ ტრანსფერორდერის შესაბამისად ფულადი სახსრების გადარიცხვა ან ფინანსურ ინსტრუმენტზე საკუთრების ან მოთხოვნის უფლების გადაცემა რეჟიმის ამოქმედებამდე მოხდა თუ მისი ამოქმედების შემდეგ;

ბ) ტრანსფერორდერიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვა, როდესაც ტრანსფერორდერი სისტემის წესების მიხედვით სისტემის მიერ მიღებულ იქნა საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებამდე, მიუხედავად იმისა, ურთიერთგაქვითვა რეჟიმის ამოქმედებამდე მოხდა თუ მისი ამოქმედების შემდეგ.

5. საკლირინგო დაწესებულებაში ურთიერთგაქვითვის განხორციელება სავალდებულოა მესამე პირებისთვის, მათ შორის, ლიკვიდატორისთვის, გაკოტრების მმართველისთვის, დროებითი ადმინისტრატორისა და სპეციალური მმართველისთვის, აგრეთვე ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოებისთვის, და არ შეიძლება სადავო გახდეს, თუ მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესახებ შეტყობინება საკლირინგო დაწესებულებას საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებამდე გაეგზავნა, მიუხედავად იმისა, თავად ურთიერთგაქვითვის ოპერაცია საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებამდე განხორციელდა თუ მისი ამოქმედების შემდეგ.

საქართველოს 2013 წლის 20 მარტის კანონი № 355 – ვებგვერდი, 04.04.2013წ.
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5665 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5681 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2023 წლის 22 თებერვლის კანონი №2610 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.

მუხლი 10. ანგარიშსწორება საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედების შემდეგ

1. სისტემის ოპერატორი ან/და ანგარიშსწორების აგენტი, მიუხედავად სისტემის მონაწილის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებისა, უფლებამოსილია:

ა) ამ კანონის მე-9 მუხლის მიზნებისათვის სისტემაში საბოლოო ანგარიშსწორების განსახორციელებლად გამოიყენოს მონაწილეთა ანგარიშსწორების ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრები ან/და ფინანსური ინსტრუმენტები, სისტემის მიერ მიღებული ტრანსფერორდერების მიხედვით ანგარიშსწორების განხორციელების ან ურთიერთგაქვითვის შედეგად მიღებული ნეტვალდებულების დაფარვის მიზნით;

ბ) თუ ეს გათვალისწინებულია მონაწილესთან დადებული შეთანხმებით, ამ კანონის მე-9 მუხლის მიზნებისათვის სისტემაში საბოლოო ანგარიშსწორების განსახორციელებლად გამოიყენოს მონაწილისათვის გამოყოფილი საკრედიტო ხაზი და სისტემის ოპერატორის ან/და ანგარიშსწორების აგენტის მიმართ დავალიანების დაფარვის მიზნით მოახდინოს საკრედიტო ხაზის უზრუნველსაყოფად დაგირავებული ფინანსური გირავნობის საგნის რეალიზაცია „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სისტემის მონაწილის ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებული თანხის ან მისთვის გამოყოფილი საკრედიტო ხაზით გათვალისწინებული თანხის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სისტემის მიერ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებამდე მიღებული ტრანსფერორდერების ან მათ საფუძველზე გამოთვლილი ნეტვალდებულების მოცულობით.

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5681 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 11. შეტყობინება საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედების შესახებ

1. საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს ელექტრონული დოკუმენტის ან/და მატერიალური დოკუმენტის სახით აწვდის იმ სისტემებისა და მათი მონაწილეების ჩამონათვალს, რომლებზედაც ვრცელდება ამ თავის მოქმედება.

2. საქართველოს ეროვნული ბანკი შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოსგან იღებს ინფორმაციას სისტემის მონაწილის, ოპერატორის ან ანგარიშსწორების აგენტის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედების თაობაზე.

3. საქართველოს ეროვნული ბანკი შესაბამისი უცხოური ორგანოსგან უცხოური სისტემის მონაწილის, ოპერატორის ან ანგარიშსწორების აგენტის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას ადგილობრივი სისტემების ოპერატორებს.

4. სისტემის მონაწილე ვალდებულია ოპერატორს, ხოლო ოპერატორი ან/და ანგარიშსწორების აგენტი ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს დაუყოვნებლივ შეატყობინოს მის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედების შესახებ.

5. საქართველოს ეროვნული ბანკი დაუყოვნებლივ ატყობინებს ადგილობრივი სისტემების ოპერატორებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ან მის მიერ სისტემის მონაწილის, ოპერატორის ან ანგარიშსწორების აგენტის მიმართ ლიკვიდაციის, დროებითი ადმინისტრაციის ან რეზოლუციის რეჟიმის შემოღების შესახებ.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5665 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 12. შესაბამისი კანონმდებლობის განსაზღვრა

1. ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგადახდო სისტემის უცხოური მონაწილის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედების შემთხვევაში სისტემაში მონაწილეობასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2. უცხოური სისტემის მონაწილე, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მოქმედი იურიდიული პირის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედების შემთხვევაში სისტემაში მონაწილეობასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება შესაბამისი უცხოური კანონმდებლობით, რომლითაც ეს სისტემა ფუნქციონირებს.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.

თავი IV. საგადახდო მომსახურება

მუხლი 13. საგადახდო მომსახურების ცნება

1. ამ კანონის მიზნებისთვის საგადახდო მომსახურება არის:

ა) მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს გადამხდელის ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოჭრას და მის შესრულებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს;

ბ) მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს მიმღების ანგარიშზე ფულადი სახსრების ჩარიცხვას და მის შესრულებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს;

გ) გადახდის განხორციელება პირდაპირი დებეტის (მათ შორის, ერთჯერადი დავალებით), საგადახდო ბარათის ან სხვა ელექტრონული საშუალების გამოყენებით, ან საკრედიტო გადარიცხვა (მუდმივი დავალების ჩათვლით), საგადახდო მომსახურების მომხმარებლის საკუთარი თანხის ან საკრედიტო რესურსის ფარგლებში;

დ) საგადახდო ინსტრუმენტების, მათ შორის, ელექტრონული ფულის ინსტრუმენტების, გამოშვება ან/და ექვაირინგი;

ე) ფულადი გზავნილები;

ვ) ელექტრონული ფულის გამოშვება, გადახდის ოპერაციების განხორციელება ელექტრონული ფულის მეშვეობით, მობილური ტელეფონის, ინტერნეტის ან სხვა ელექტრონული საშუალების გამოყენებით;

ზ) გადახდის ინიციირების მომსახურება;

თ) ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურება.

2. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება შემდეგ მომსახურებებზე:

ა) გადამხდელსა და მიმღებს შორის შუამავლის გარეშე, ნაღდი ფულით განხორციელებულ გადახდის ოპერაციაზე;

ბ) გადამხდელსა და მიმღებს შორის კომერციული შუამავლის მეშვეობით განხორციელებულ გადახდის ოპერაციაზე;

გ) საინკასაციო მომსახურებაზე, რომელიც დაკავშირებულია ბანკნოტებისა და მონეტების ტრანსპორტირებასთან, მათ შორის, მათ შეგროვებასთან, დამუშავებასა და მიწოდებასთან;

დ) ნაღდი ფულის ნაღდ ფულზე გადაცვლის მომსახურებაზე, რომელიც საგადახდო ანგარიშების საშუალებით არ ხორციელდება;

ე) ოპერაციაზე, რომელიც სისტემის მონაწილეებს შორის საგადახდო სისტემის ფარგლებში ხორციელდება;

ვ) ტექნიკური, სატელეკომუნიკაციო, ციფრული ან საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების მიმწოდებლის მიერ განხორციელებულ მომსახურებაზე, რომელიც გულისხმობს ტექნიკურ მხარდაჭერას საგადახდო მომსახურების განხორციელების უზრუნველსაყოფად და რომლის დროსაც გადასარიცხი თანხა ამ მომსახურების მიმწოდებლის მფლობელობაში არ ხვდება; ამგვარი მომსახურება მოიცავს მონაცემთა გადამუშავებასა და შენახვას, კონფიდენციალურობის დაცვას, მონაცემებისა და სუბიექტების ავთენტიფიკაციას, სატელეკომუნიკაციო ან საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფას, საგადახდო მომსახურებისთვის განკუთვნილი ტექნიკური საშუალებების მიწოდებას და მომსახურებას; ამ ქვეპუნქტით განსაზღვრულ გამონაკლისში არ ექცევა ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებები;

ზ) გადახდის ოპერაციაზე, რომელსაც ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი ან მომსახურების მიმწოდებელი ახორციელებს მისი ქსელის ან მომსახურების აბონენტისთვის ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებაზე დამატებით და დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი დებულება:

ზ.ა) გადახდის ოპერაცია სრულდება ციფრული შიგთავსის/ინფორმაციის ან ხმოვანი სერვისების შესაძენად (მიუხედავად ციფრული შიგთავსის/ინფორმაციის შეძენის ან მოხმარებისთვის გამოყენებული მოწყობილობისა) ან გადახდის ოპერაცია სრულდება ელექტრონული მოწყობილობიდან ან მისი საშუალებით საქველმოქმედო დანიშნულებით ან ბილეთების შესაძენად და მათი საფასური ჩამოიჭრება ელექტრონული

საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორთან ან მომსახურების მიმწოდებელთან არსებული შესაბამისი აბონენტის ბალანსიდან/ლიმიტიდან;

ზ.ბ) გადახდის ცალკეული ოპერაციების თანხა 50 ლარს არ აღემატება;

ზ.გ) თითოეული აბონენტის მიერ თვის განმავლობაში შესრულებული გადახდის ოპერაციების საერთო თანხა 300 ლარს არ აღემატება, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც აბონენტი წინასწარ ავსებს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორთან ან მომსახურების მიმწოდებელთან არსებულ აბონენტის ბალანსს;

თ) გადახდის ოპერაციაზე, რომელიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის მიერ კლიენტების სახსრებით ფასიანი ქაღალდების ოპერაციების განხორციელებასთან, მათ შორის, დივიდენდებისა და სხვა შემოსავლების განაწილებასთან, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან;

ი) ჯგუფში შემავალ კომპანიებს შორის გადახდებზე, რომლებიც ხორციელდება ისეთი საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მონაწილეობის გარეშე, რომელიც იმავე ჯგუფს არ მიეკუთვნება;

კ) გადახდის ოპერაციაზე, რომელიც მოიცავს ნაღდი ფულის შეგროვებას და მიწოდებას იმ საქმიანობის ფარგლებში, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ეკონომიკურ საქმიანობას არ წარმოადგენს;

ლ) სავაჭრო/მომსახურების ობიექტის მიერ განხორციელებულ მომსახურებაზე, რომლის დროსაც მიმღების (სავაჭრო/მომსახურების ობიექტის) მიერ ნაღდი ფული გაიცემა გადამხდელის მიერ უშუალოდ გადახდის ოპერაციის შესრულებამდე გამოხატული მოთხოვნის საფუძველზე მის მიერ მიმღებისგან საქონლის ან მომსახურების შეძენისას და გასაცემი ნაღდი ფულის თანხა წარმოადგენს გადამხდელის მიერ საქონლის ან მომსახურების შეძენის მიზნით შესრულებული გადახდის ოპერაციის თანხის ნაწილს;

მ) ბანკომატის მეშვეობით ნაღდი ფულის გაცემის მომსახურებაზე, რომელსაც მომსახურების მიმწოდებელი ახორციელებს ერთი ან რამდენიმე საგადახდო ბარათის ემიტენტის სახელით და იგი არ წარმოადგენს მომხმარებელთან (ნაღდი ფულის მიმღებ პირთან) გაფორმებული ხელშეკრულების მხარეს და იმავდროულად იგი არ ასრულებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სხვა საგადახდო მომსახურებას;

ნ) გადახდის ოპერაციაზე, რომელიც ხორციელდება ჩეკით „ჩეკის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება სპეციფიკური, შეზღუდული გამოყენების საგადახდო ინსტრუმენტზე, რომელიც მოქმედებს მხოლოდ საქართველოში და აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

ა) უშუალოდ ინსტრუმენტის გამომშვებსა და მომსახურების მიმწოდებლებს შორის არსებული კომერციული/სავაჭრო შეთანხმების ფარგლებში ინსტრუმენტის მფლობელს საშუალება აქვს, მხოლოდ ამავე მომსახურების მიმწოდებლების შეზღუდულ ქსელში შეიძინოს საქონელი ან/და მომსახურება;

ბ) ინსტრუმენტი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საქონლის ან/და მომსახურების მკაცრად შეზღუდული სპექტრის შესაძენად;

გ) ინსტრუმენტი გაიცემა მეწარმე სუბიექტის ან ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნით, ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს სოციალურ ან საგადასახადო მიზნებს და გამოიყენება განსაზღვრული საქონლის ან/და მომსახურების შესაძენად იმ მიმწოდებლებისგან, რომელთაც ხელშეკრულება დადებული აქვთ ამ ინსტრუმენტის გამომშვებთან.

4. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ან სხვა პირი, რომელსაც სურს გამოუშვას ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული საგადახდო ინსტრუმენტი, ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს თანხმობის მისაღებად წერილობით წარუდგინოს საგადახდო ინსტრუმენტის შესახებ ინფორმაცია და აღწერა, აგრეთვე მითითება იმავე პუნქტის იმ დებულებებზე, რომლებსაც ინსტრუმენტი აკმაყოფილებს და აღნიშნულის დასაბუთება.

5. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მომსახურების განმახორციელებელ პირს მოსთხოვოს ინფორმაცია ამ მომსახურების ფარგლებში შესრულებული გადახდების შესახებ.

6. საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით, შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში საბროკერო კომპანია, აქტივების მმართველი კომპანია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, სესხის გამცემი სუბიექტი, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი და საკრედიტო საინფორმაციო ბიურო უფლებამოსილი არიან ამ კანონის შესაბამისად განახორციელონ გადახდის ინიციირების მომსახურება ან/და ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურება.

7. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია საგადახდო მომსახურება განახორციელოს აგენტის/აგენტების მეშვეობით. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაადგინოს აგენტის/აგენტების შესახებ ინფორმაციის მისთვის წარდგენის წესი.

8. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, რომელიც საგადახდო მომსახურებას აგენტის მეშვეობით ახორციელებს ან/და თავის საქმიანობაში აუთსორსინგულ კომპანიას იყენებს, მესამე პირის წინაშე პასუხისმგებელია აგენტის მიერ განხორციელებული საგადახდო მომსახურებისთვის ან/და აუთსორსინგული კომპანიის ქმედებით გამოწვეული შედეგისთვის. აღნიშნული არ ათავისუფლებს აგენტს ან/და აუთსორსინგულ კომპანიას საგადახდო მომსახურების პროვაიდერის წინაშე წარმოშობილი ვალდებულებებისგან.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.

საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.
საქართველოს 2023 წლის 22 თებერვლის კანონი №2610 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.
საქართველოს 2023 წლის 15 დეკემბრის კანონი №3939 – ვებგვერდი, 27.12.2023წ.

მუხლი 13[1]. საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის ნებადართული საქმიანობა

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულ საგადახდო მომსახურების პროვაიდერს უფლება აქვს, ამ კანონით გათვალისწინებული საგადახდო მომსახურების გარდა, განახორციელოს მხოლოდ შემდეგი საქმიანობა:

ა) საგადახდო მომსახურების განხორციელებასთან მჭიდროდ დაკავშირებული მომსახურებების გაწევა, მათ შორის, საინკასაციო მომსახურება, ვალუტის გადაცვლა, გადახდის ოპერაციის შესრულების დადასტურება, მონაცემების შენახვა და დამუშავება;

ბ) საგადახდო სისტემის მართვა ამ კანონის 5[1] მუხლის გათვალისწინებით;

გ) ამ კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგადახდო მომსახურებების გაწევისას სესხის გაცემა შემდეგი პირობების დაცვის შემთხვევაში:

გ.ა) სესხის გაცემა არ არის ძირითადი საქმიანობა და სესხი მხოლოდ გადახდის ოპერაციის შესასრულებლად გაიცემა;

გ.ბ) გადახდის ოპერაციის შესასრულებლად გაცემული სესხის ვადად უნდა განისაზღვროს არაუმეტეს 12 თვე;

გ.გ) სესხი არ გაიცემა მომხმარებლის ან/და სხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ საგადახდო მომსახურების შესრულების მიზნით მასთან არსებული ფულადი სახსრებით;

გ.დ) გაცემული სესხების ჯამური ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ნორმებს;

დ) თავისი საგადახდო მომსახურების რეკლამის, თავის საგადახდო მომსახურებასთან უშუალოდ დაკავშირებული რეკლამის, ამ პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (ამ პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქმიანობის გარდა) შესახებ რეკლამის, აგრეთვე სოციალური რეკლამის განთავსება;

ე) ფინანსურ მომსახურებასთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება/განვითარება, აგრეთვე ამავე პროგრამული უზრუნველყოფის გასხვისება, სარგებლობაში გადაცემა და მხარდაჭერა;

ვ) საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით საგადახდო მომსახურების მხარდამჭერი ან/და ფინანსური მომსახურებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემის/სისტემების დანერგვა/განვითარება, აგრეთვე მისი/მათი გასხვისება, სარგებლობაში გადაცემა და მხარდაჭერა;

ზ) საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით ქონების (ამ პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქონების გარდა) იჯარით გაცემა;

თ) საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული ელექტრონულ-ტექნიკური მოწყობილობების გამართული მუშაობის უზრუნველყოფისთვის საჭირო შესაბამისი საქმიანობის განხორციელება.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულ საგადახდო მომსახურების პროვაიდერს არ აქვს მოსახლეობის ფართო მასებისგან დეპოზიტების ან/და სხვა დაბრუნებადი ფულადი სახსრების მოზიდვის უფლება, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. საგადახდო მომსახურების პროვაიდერს არა აქვს უფლება, ურთიერთობა დაამყაროს სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელ უცხოურ კომპანიებთან მათ სასარგებლოდ რეზიდენტი პირების მიერ გადახდების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

4. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია არ დაუშვას თავის მიერ გამოშვებული საბარათე ინსტრუმენტით რეზიდენტი პირების მიერ სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელი უცხოური კომპანიის სასარგებლოდ ინტერნეტსივრცეში გადახდის განხორციელება საბარათე სქემის მიერ განსაზღვრული სათამაშო ბიზნესის საქმიანობის მაიდენტიფიცირებელი კოდის საშუალებით.

5. თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის ცნობილი გახდება, რომ მომხმარებელი იყენებს უცხოურ კომპანიას სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელი უცხოური კომპანიის სასარგებლოდ რეზიდენტი პირების გადახდების განსახორციელებლად, მან უნდა შეზღუდოს მომხმარებლის მიერ ასეთ კომპანიასთან ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

6. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, რომელიც ახორციელებს მხოლოდ ამ კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით ან/და „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საგადახდო მომსახურებას, უფლებამოსილია განახორციელოს სხვა საქმიანობაც საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1192 – ვებგვერდი, 28.12.2021წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 14. გამონაკლისები ამ თავის მოქმედებიდან

1. ამ თავის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) საქართველოს ეროვნულ ბანკზე;

ბ) უცხოურ ცენტრალურ ბანკზე და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტზე;

გ) საერთაშორისოდ აღიარებულ საგადახდო მომსახურების პროვაიდერზე, რომელიც არ არის რეგისტრირებული, როგორც იურიდიული პირი ან იურიდიული პირის ფილიალი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ კანონის მე-15 მუხლის მე-2–მე-7 პუნქტების, მე-17 მუხლისა და მე-18 მუხლის პირველი–მე-5 პუნქტების მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებსა და მიკრობანკებზე.

3. ამ კანონის მე-15 მუხლის მე-2–მე-7 პუნქტებისა და მე-17 მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე.

4. საქართველოს ეროვნული ბანკი ინდივიდუალურად განიხილავს უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის საერთაშორისოდ აღიარების საკითხს.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.
საქართველოს 2023 წლის 22 თებერვლის კანონი №2610 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.

მუხლი 15. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაცია და საგადახდო მომსახურების განხორციელება

1. დაუშვებელია საგადახდო მომსახურების იმ პირის მიერ განხორციელება, რომელიც არ არის:

ა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი;

ბ) კომერციული ბანკი, მიკრობანკი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია;

გ) ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირი.

2. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციასა და რეგისტრაციის გაუქმებას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი თავის მიერ დადგენილი წესით. საგადახდო მომსახურების პროვაიდერს რეგისტრაციისას ენიჭება კონკრეტული საგადახდო მომსახურების/მომსახურებების განხორციელების უფლება.

3. საქართველოს ეროვნული ბანკი აქვეყნებს საგადახდო მომსახურების პროვაიდერების სიას შესაბამისი პროვაიდერისთვის ნებადართული საგადახდო მომსახურების/მომსახურებების მითითებით. აღნიშნულ სიაში განცალკევებით მიეთითება საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერი.

4. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის კაპიტალი მისი საქმიანობის არცერთ ეტაპზე არ უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრულ და გაანგარიშებულ საზედამხედველო კაპიტალის ოდენობაზე ნაკლები.

5. პირი, რომელიც საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მნიშვნელოვანი წილის შეძენას აპირებს, ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს განაცხადი და საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ინფორმაცია/დოკუმენტაცია. აღნიშნულის თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკი გადაწყვეტილებას იღებს ინფორმაციის წარდგენიდან 1 თვის ვადაში. ამ ვადაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პასუხის გაუცემლობა ავტომატურად ნიშნავს შესაბამისი გარიგების განხორციელებაზე თანხმობის მიცემას.

6. თუ ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად საქართველოს ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ პოტენციური შემძენის შესახებ წარმოდგენილია არასაკმარისი ან/და არაზუსტი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, მას უფლება აქვს, დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია მოსთხოვოს უშუალოდ პოტენციურ შემძენს ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს. ამ შემთხვევაში ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება შეჩერდება დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენამდე.

7. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით განსაზღვროს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მნიშვნელოვანი წილის შეძენასთან დაკავშირებით პოტენციური შემძენის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის შეტყობინების წესი, ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარუდგენლობასა და, საქართველოს ეროვნული ბანკისგან დასაბუთებული უარის მიღების მიუხედავად, მნიშვნელოვანი წილის შეძენასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს 2015 წლის 12 ივნისის კანონი №3719 - ვებგვერდი, 24.06.2015წ.
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.
საქართველოს 2023 წლის 22 თებერვლის კანონი №2610 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.

მუხლი 16. ინფორმაციის მიღება და გამოქვეყნება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი წესით საგადახდო მომსახურების პროვაიდერს მოსთხოვოს და მიიღოს ფინანსური, სტატისტიკური და სხვა ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

2. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი წესით განსაზღვროს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საგადახდო ანგარიშთან ან/და საგადახდო მომსახურებასთან.

2^1. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი წესით განსაზღვროს

საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის მისაწოდებელი ინფორმაცია, მათ შორის, საგადახდო ანგარიშსა და საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ დაწესებული საკომისიოების, აგრეთვე გაცვლითი კურსების შესახებ. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საკომისიოების გამჭვირვალობისა და მათი ერთმანეთთან შედარების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად გამოაქვეყნოს აღნიშნული ინფორმაცია პროვაიდერის სახელწოდების მითითებით.

3. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მიზნებისათვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს აგრეთვე შესაბამის ანგარიშგებას. ანგარიშგების ფორმა, ხარისხი და წარდგენის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 30 ოქტომბრის კანონი №5236 – ვებგვერდი, 30.10.2019წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 17. საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერი

1. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დამატებითი მოთხოვნები დაუდგინოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, თუ მის მიერ ან/და მასთან დაკავშირებული პირის მიერ გამოშვებული ელექტრონული ფულის მოცულობა ან სხვა საგადახდო მომსახურების ბრუნვა აჭარბებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ზღვრებს.

2. თუ საქართველოს ეროვნული ბანკი საგადახდო მომსახურების პროვაიდერს საზოგადოების ნდობის, საგადახდო სისტემის, ფინანსური სისტემის სტაბილურობის შესანარჩუნებლად ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სოციალური და საზოგადოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მასზე გაავრცელოს ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დადგენილი მოთხოვნები, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროვაიდერის მიერ ან/და მასთან დაკავშირებული პირის მიერ გამოშვებული ელექტრონული ფულის მოცულობა ან სხვა საგადახდო მომსახურების ბრუნვა არ აჭარბებს იმავე პუნქტის შესაბამისად დადგენილ ზღვრებს.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (შემდგომ – საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერი) ვალდებულია საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე დაიცვას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული და გაანგარიშებული საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა მისი სახეობების, მათ შორის, საწყისი და მიმდინარე კაპიტალის, მიხედვით.

4. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის განსაზღვროს პირობები, როდესაც პირი შეიძლება მიჩნეულ იქნეს საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან დაკავშირებულ პირად.

5. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერისთვის დადგენილი მოთხოვნები აგრძელებს მოქმედებას, მიუხედავად იმისა, რომ გაცემულ ელექტრონული ფულის ინსტრუმენტებზე არსებული ელექტრონული ფულის მოცულობა ან სხვა საგადახდო მომსახურების ბრუნვა აღარ აჭარბებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დადგენილ ზღვრებს, გარდა ამავე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გაათავისუფლოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერი საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერისთვის დადგენილი მოთხოვნების დაცვისგან, თუ:

ა) გაცემულ ელექტრონული ფულის ინსტრუმენტებზე არსებული ელექტრონული ფულის მოცულობა ან სხვა საგადახდო მომსახურების ბრუნვა ზედიზედ 3 თვის განმავლობაში აღარ აჭარბებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დადგენილ ზღვრებს;

ბ) მისთვის დამატებითი მოთხოვნები დადგინდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

7. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი წესით საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვან პროვაიდერს მოსთხოვოს და მიიღოს ფინანსური, მათ შორის, აუდიტირებული, სტატისტიკური და სხვა ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

8. საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერი ვალდებულია აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით.

9. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერისთვის, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულების გარდა, სამართლებრივი აქტით დამატებით განსაზღვროს ფინანსური ანგარიშგების აუდიტირების ვალდებულება და ამ ვალდებულების შესრულების წესი.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.

მუხლი 18. მომხმარებლის ფულადი სახსრები

1. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია პროვაიდერს თავის მიერ დადგენილი წესით განუსაზღვროს მოთხოვნები ელექტრონული ფულის სანაცვლოდ ან სხვა საგადახდო მომსახურების გაწევისათვის მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრების (მომხმარებლის ფულადი სახსრების) მიმართ.

2. საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან არსებული მომხმარებლის ფულადი სახსრები უნდა განთავსდეს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საკუთარი სახსრებისაგან განცალკევებით, ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე ან ანგარიშებზე. დაუშვებელია მომხმარებლის ფულადი სახსრების მიმართ საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება.

3. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ცალკეულ საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვან პროვაიდერებს მოსთხოვოს მომხმარებლის ფულადი სახსრების უზრუნველყოფის მიზნით გარანტიის ან/და დაზღვევის პოლისის წარდგენა.

4. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წარდგენილი გარანტიის ან/და დაზღვევის პოლისის პირობების ან/და გარანტორის/მზღვეველის შეცვლა ან დამატება.

5. პროვაიდერს უფლება არ აქვს, თავისი ვალდებულების უზრუნველყოფისათვის მომხმარებლის ფულადი სახსრები გამოიყენოს.

6. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ მიღებული მომხმარებლის ფულადი სახსრები არ არის დეპოზიტი.

7. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში მას ელექტრონული ფული ფულად სახსრებზე გადაუცვალოს.

8. დაუშვებელია ელექტრონული ფულის პროვაიდერის მიერ მომსახურების განხორციელებისათვის მიღებულ ფულად სახსრებზე სარგებლის დარიცხვა ელექტრონული ფულის მომხმარებლის სასარგებლოდ.

9. დაუშვებელია საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ მომხმარებლის ფულადი სახსრების კრედიტის/ოვერდრაფტის გასაცემად გამოყენება.

10. ელექტრონული ფული არის ელექტრონული ფულის პროვაიდერის ვალდებულება მომხმარებლის მიმართ.

11. იურიდიული პირი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმე და იურიდიული პირის სტატუსის არმქონე სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი ელექტრონული ფულის სქემაში შეიძლება მონაწილეობდნენ, როგორც გადახდის ოპერაციის თანხის მიმღები, და არ შეიძლება მოქმედებდნენ, როგორც გადამხდელი, გარდა გადამხდელისთვის განხორციელებული ოპერაციის თანხის დაბრუნების შემთხვევისა ან ამ მუხლის 11^1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ელექტრონული ფულის პროვაიდერი ვალდებულია ამ პირთა მიერ ელექტრონული ფულის მიღებიდან არაუგვიანეს 15 საბანკო დღისა უზრუნველყოს აღნიშნული ელექტრონული ფულის მოცულობის ეკვივალენტური ფულადი სახსრების აღნიშნულ პირთა საბანკო ანგარიშებზე გადარიცხვა, გარდა ამ მუხლის 11^1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

11^1. თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერი იურიდიულ პირს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმესა და იურიდიული პირის სტატუსის არმქონე სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს ელექტრონული ფულის სქემაში ჩართავს, როგორც გადამხდელს, მაშინ საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 7^1 მუხლით, გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია აღნიშნული ვალდებულებების შესრულების შესახებ 2 სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

11^2. ამ მუხლის 11^1 პუნქტით გათვალისწინებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერების სია ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე.

12. საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ფულადი გზავნილის სქემაში შეიძლება მონაწილეობდეს მხოლოდ როგორც მიმღები, თუ მიმღების პროვაიდერი იურიდიული პირის სახელზე მიღებული ფულადი გზავნილის მისთვის გადაცემას განახორციელებს ამავე იურიდიული პირის საგადახდო ანგარიშზე გადარიცხვით. იურიდიული პირი უფლებამოსილია ფულადი გზავნილი განახორციელოს, როგორც გადამხდელმა, როდესაც გადახდის ოპერაცია წარმოადგენს საკუთარი საბარათე ინსტრუმენტის საშუალებით თანხის განაღდებას იმ საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან (მათ შორის, ბანკომატიდან), რომელთანაც მას აღნიშნული ინსტრუმენტის შესაბამისი საგადახდო ანგარიში გახსნილი არ აქვს.

საქართველოს 2015 წლის 12 ივნისის კანონი №3719 - ვებგვერდი, 24.06.2015წ.
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

თავი V. საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები

მუხლი 19. საგადახდო მომსახურების დაცვა

1. ამ თავის მოთხოვნები უნდა შესრულდეს ამ კანონის მე-8 და მე-9 მუხლების დებულებების დაცვით.

2. ამ თავის მოქმედება ვრცელდება ლარითა და უცხოური ვალუტით განხორციელებულ გადახდის ოპერაციებზე. თუ გადახდის ოპერაციის (გარდა ერთიანი ევროგადახდის სივრცის (SEPA) ფარგლებში მოქმედი საგადახდო სქემით შესრულებული გადახდის ოპერაციებისა) განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, საქართველოში მოქმედ საგადახდო მომსახურების პროვაიდერზე არ ვრცელდება ამ კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27-ე მუხლისა და 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

3. საგადახდო მომსახურების პროვაიდერს ან/და მომხმარებელს პასუხისმგებლობა არ ეკისრება ამ კანონის 22^2, 22^3, 24-ე–26-ე და 28-ე–34-ე მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნების საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგანგებო მდგომარეობით, საომარი მდგომარეობით ან სხვა დაუძლეველი ძალით გამოწვეული შეუსრულებლობისთვის, თუ ამ გარემოებებმა უშუალო გავლენა იქონია ამ კანონის შესაბამისად პროვაიდერის ან მომხმარებლის მიერ ვალდებულებების შესრულებაზე. მხარე, რომელიც პასუხისმგებლობის გამოსარიცხად დაუძლეველ ძალაზე მიუთითებს, ვალდებულია დაამტკიცოს, რომ ადგილი ჰქონდა ასეთ მოვლენას. მხარე ვალდებულია დაამტკიცოს, რომ დაუძლეველმა ძალამ უშუალო გავლენა იქონია მის მიერ ვალდებულების შესრულებაზე.

4. საგადახდო მომსახურების პროვაიდერს ან/და მომხმარებელს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება ამ კანონის 22^2, 22^3, 24-ე–26-ე და 28-ე–34-ე მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის განსაკუთრებული გარემოების საფუძველზე ან/და ფინანსური სისტემის სტაბილურობის მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ოპერაციების შეზღუდვის შემთხვევაში.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისთვის დაუძლეველ ძალას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ის არ ექვემდებარება მხარის კონტროლს და რომლის შედეგების თავიდან აცილება შეუძლებელი იქნებოდა მხარის გონივრული გულმოდგინებისა და ძალისხმევის მიუხედავად.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 20. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდება ან/და მასთან შეთანხმების დადება

1. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია ან/და მასთან დადოს შეთანხმება, რომელიც მოიცავს მომსახურების პირობებს, მათ შორის, მომსახურების გაწევის ვადებს, ტარიფებს, მომხმარებლისა და პროვაიდერის უფლებებსა და მოვალეობებს. საგადახდო მომსახურების პროვაიდერს არ აქვს უფლება, მომხმარებელს დააკისროს საკომისიოს გადახდა ინფორმაციის მიწოდებისთვის, აგრეთვე მაკორექტირებელი, არაავტორიზებული ოპერაციის ან/და ოპერაციის არასწორად შესრულების თავიდან ასარიდებლად პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისთვის, გარდა ამ კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტით, 29-ე მუხლის მე-6 პუნქტითა და 30^2 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული შემთხვევებისა.

2. ამ კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და 30^2 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე დადგენილი საკომისიოს ოდენობა წინასწარ უნდა შეთანხმდეს საგადახდო მომსახურების პროვაიდერსა და მომხმარებელს შორის. საკომისიო უნდა იყოს გონივრული.

3. თუ გადამხდელისა და მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერი საქართველოში მოქმედი პროვაიდერია, გადამხდელი ვალდებულია გადაიხადოს თავისი საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ დადგენილი საკომისიო, ხოლო მიმღები ვალდებულია გადაიხადოს თავისი საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ დადგენილი საკომისიო.

4. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაადგინოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ მომხმარებლისთვის ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი ყველა საკომისიოს შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესი.

5. საგადახდო მომსახურების პროვაიდერსა და საგადახდო მომსახურების მომხმარებელ იმ იურიდიულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, უფლება აქვთ, ხელშეკრულებით შეთანხმდნენ, რომ მათ შორის არსებულ ურთიერთობებზე სრულად ან ნაწილობრივ არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკომისიოს დაკისრებასთან დაკავშირებული აკრძალვა, აგრეთვე ამავე მუხლის მე-2 პუნქტის და ამ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 29-ე, 31-ე და 31^1 მუხლების, 32-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-7 და მე-8 პუნქტების, 33-ე მუხლის მე-6 და მე-8–მე-11 პუნქტებისა და 34-ე მუხლის მოქმედება. საგადახდო მომსახურების პროვაიდერსა და ამ პუნქტით გათვალისწინებულ საგადახდო მომსახურების მომხმარებელ იურიდიულ პირს ასევე უფლება აქვთ, ხელშეკრულებით განსაზღვრონ ამ კანონის 32-ე მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული ვადებისგან განსხვავებული ვადები.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 20[1]. საგადახდო ინსტრუმენტის მიღება და ქო-ბეჯინგი

1. საგადახდო მომსახურების პროვაიდერს არ აქვს უფლება, მიმღებს დაუწესოს ისეთი შეზღუდვა, რომელიც მიმღებს კონკრეტულ საგადახდო ინსტრუმენტზე უკრძალავს გადამხდელისთვის საკომისიოს დაწესების ან/და მისთვის ფასდაკლების/ფასდათმობის შეთავაზების უფლებას. დაწესებული საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს კონკრეტული საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენებით მიმღებისთვის წარმოშობილ პირდაპირ ხარჯს. მიმღების პროვაიდერი ვალდებულია უზრუნველყოს მიმღების მიერ ამ პუნქტით განსაზღვრული დებულებების დაცვა. კონკურენციისა და ეფექტიანი საგადახდო ინსტრუმენტების წასახალისებლად საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია აკრძალოს ან შეზღუდოს მიმღების უფლება, მოითხოვოს საკომისიო.

2. საგადახდო მომსახურების პროვაიდერსა და მიმღებს არ აქვთ უფლება, უარი განაცხადონ საგადახდო ინსტრუმენტის მიღებაზე ემიტენტის ან/და მომხმარებლის მიხედვით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით ან/და საგადახდო ინსტრუმენტის სპეციფიკიდან, ფინანსური სტაბილურობის ან უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა.

3. მიმღები, რომელიც ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გადამხდელს უდგენს საკომისიოს, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ მომხმარებელს შეატყობინოს ნათელი და გასაგები ფორმით. მიმღებმა აღნიშნული ინფორმაცია თვალსაჩინოდ უნდა განათავსოს სავაჭრო/მომსახურების ობიექტის შესასვლელში და სალაროსთან. დისტანციური გაყიდვების შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს მიმღების ვებგვერდზე ან სხვა შესაბამის ელექტრონულ ან მობილურ მატარებელზე და გადამხდელსა და მიმღებს შორის გარიგების დადებამდე გონივრულ ვადაში უნდა მიეწოდოს მომხმარებელს.

4. საგადახდო მომსახურების პროვაიდერს არ აქვს უფლება, დააწესოს ისეთი შეზღუდვა, რომელიც მიმღებს უკრძალავს, მომხმარებელს მიუთითოს მიმღებისთვის სასურველი ინსტრუმენტის გამოყენებაზე. საგადახდო მომსახურების პროვაიდერს აგრეთვე არ აქვს უფლება, დააწესოს ისეთი შეზღუდვა, რომელიც მიმღებს არ აძლევს საშუალებას, კონკრეტული საგადახდო სქემის ინსტრუმენტი განსაზღვროს თავისთვის სხვა საგადახდო ინსტრუმენტებზე მეტად ან ნაკლებად პრიორიტეტულად.

5. საგადახდო მომსახურების პროვაიდერს არ აქვს უფლება, დააწესოს ისეთი შეზღუდვა, რომელიც მიმღებს უკრძალავს, გადამხდელს მიაწოდოს ინფორმაცია ურთიერთგაცვლის საკომისიოს და სავაჭრო/მომსახურების ობიექტის საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული საკომისიოს შესახებ.

6. ექვაირინგის განმახორციელებელ საგადახდო მომსახურების პროვაიდერსა და მიმღებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება არ შეიძლება ითვალისწინებდეს ისეთ პირობას, რომელიც არაობიექტურ, არაპროპორციულ და დისკრიმინაციულ მდგომარეობას შექმნის ცალკეული გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის.

7. დაუშვებელია ისეთი პირობების არსებობა, რომლებიც საგადახდო მომსახურების პროვაიდერს შეუზღუდავს საგადახდო ინსტრუმენტზე ქო-ბეჯინგის უზრუნველყოფას ორი ან ორზე მეტი საგადახდო ბრენდის ან საგადახდო აპლიკაციის საშუალებით.

8. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მის მიერ გამოშვებული საგადახდო ინსტრუმენტი იყოს ელექტრონულად იდენტიფიცირებადი და ვიზუალურად იმგვარად გარჩევადი, რომ გადამხდელსა და მიმღებს ცალსახად შეეძლოთ გადამხდელის მიერ შერჩეული საგადახდო ინსტრუმენტის ბრენდისა და კატეგორიის გარჩევა.

9. მომხმარებელს უფლება აქვს, საგადახდო მომსახურების პროვაიდერს მოსთხოვოს საბარათე ინსტრუმენტზე ორი ან ორზე მეტი სხვადასხვა საგადახდო ბრენდის არსებობა, თუ ამ საგადახდო მომსახურების პროვაიდერს აქვს ასეთი მომსახურება. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე გონივრული ვადით ადრე მომხმარებელს მიაწოდოს ნათელი და ობიექტური ინფორმაცია მასთან ხელმისაწვდომი ყველა საგადახდო ბრენდის და მათი მახასიათებლების, მათ შორის, მათი ფუნქციონირების, უსაფრთხოებისა და მომხმარებლის ხარჯების, შესახებ.

10. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებული არ არის ქო-ბეჯინგით უზრუნველყოფილი საგადახდო ინსტრუმენტით განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ან განხორციელებულ ოპერაციაზე საკომისიო გადაუხადოს იმ საგადახდო სქემას, რომლის ბრენდი არ იქნა გამოყენებული ოპერაციის შესრულებისას.

11. საგადახდო ინსტრუმენტზე ორი ან ორზე მეტი საგადახდო ბრენდის ან საგადახდო აპლიკაციის არსებობიდან გამომდინარე, საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ გადახდის ოპერაციების სპეციფიკურ არხში ან/და პროცესში გადამისამართების ნებისმიერი პრინციპი ან ეკვივალენტური ზომა, აგრეთვე სხვა ტექნიკური და უსაფრთხოების სტანდარტები და მოთხოვნები უნდა იყოს არადისკრიმინაციული და გამოყენებული უნდა იყოს არადისკრიმინაციული ფორმით.

12. ქო-ბეჯინგით უზრუნველყოფილი საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენებისას საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს, აგრეთვე გადახდის ოპერაციის შესრულებაში ჩართულ ნებისმიერ მხარეს არ აქვთ უფლება, საგადახდო ინსტრუმენტზე ან სავაჭრო/მომსახურების ობიექტების მოწყობილობებზე გამოიყენონ ისეთი ავტომატური მექანიზმები, პროგრამული უზრუნველყოფა ან მოწყობილობები, რომლებიც ზღუდავს გადამხდელის ან მიმღების მიერ საგადახდო ბრენდის ან აპლიკაციის არჩევის შესაძლებლობას.

13. მიმღებები უფლებამოსილი არიან სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში არსებულ მოწყობილობებში

ჰქონდეთ ისეთი ავტომატური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს კონკრეტული საგადახდო ბრენდის ან საგადახდო აპლიკაციის პრიორიტეტულად არჩევის საშუალებას. აღნიშნულ შემთხვევაში გადამხდელს არ უნდა შეეზღუდოს მიმღების მიერ ავტომატურად შერჩეულ პრიორიტეტზე უარის თქმის უფლება იმ სხვა საგადახდო ინსტრუმენტის სასარგებლოდ, რომელსაც მიმღები აგრეთვე იღებს გადახდისთვის.

14. დაუშვებელია საგადახდო სქემის, აგრეთვე გადახდის ოპერაციაში მონაწილე ნებისმიერი მხარის, მათ შორის, ტექნიკური მომსახურების უზრუნველმყოფი მხარის, მიერ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებთან ისეთი ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც ხელს უშლის ამ მუხლით განსაზღვრული დებულებების შესრულებას.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 20[2]. რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ კომერციულ ბანკში, მიკრობანკში გახსნილ ანგარიშზე წვდომა

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულ საგადახდო მომსახურების პროვაიდერს უფლება აქვს, გახსნას საგადახდო ანგარიში კომერციულ ბანკში, მიკრობანკში და ჰქონდეს ამ საგადახდო ანგარიშით მომსახურებაზე წვდომა ობიექტურ, არადისკრიმინაციულ და პროპორციულ საფუძველზე. წვდომა უნდა უზრუნველყოფდეს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ საგადახდო მომსახურებების შეუფერხებლად და ეფექტიანად განხორციელების საშუალებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ წვდომაზე უარის თქმის შემთხვევაში კომერციული ბანკი, მიკრობანკი ვალდებულია უარის თქმიდან არაუმეტეს 7 კალენდარული დღის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ ბანკს მიაწოდოს აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია და საფუძვლიანი დასაბუთება.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.
საქართველოს 2023 წლის 22 თებერვლის კანონი №2610 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.

მუხლი 21. მცირემოცულობიანი საგადახდო ინსტრუმენტი

1. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი წესით განსაზღვროს მცირემოცულობიანი საგადახდო ინსტრუმენტის მახასიათებლები.

2. მომხმარებელსა და პროვაიდერს შორის შესაბამისი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში მცირემოცულობიან საგადახდო ინსტრუმენტზე არ გავრცელდება ამ კანონის:

ა) 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა, თუ გადახდის ოპერაციის უარყოფა გამოწვეულია თავად ინსტრუმენტის მახასიათებლებით;

ბ) 26-ე მუხლით განსაზღვრული საგადახდო დავალების შესრულების ვადები;

გ) 29-ე მუხლით განსაზღვრული საგადახდო დავალების გამოთხოვის უფლება საგადახდო დავალების გადაცემის შემდგომ ან/და გადახდის ოპერაციის შესრულებაზე მიმღებისთვის თანხმობის მიცემის შემდგომ;

დ) 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებისა და 33-ე მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების მოთხოვნები, თუ ამ ინსტრუმენტს არ აქვს ოპერაციების შეზღუდვის ან/და დაბლოკვის საშუალება;

ე) 32-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-7 პუნქტებისა და 33-ე მუხლის პირველი–მე-8, მე-10 და მე-11 პუნქტების მოთხოვნები, თუ ამ ინსტრუმენტის გამოყენება შესაძლებელია ანონიმურად ან, ინსტრუმენტის თავისებურებებიდან გამომდინარე, პროვაიდერს არ შეუძლია იმის მტკიცება, რომ გადახდის ოპერაცია ავტორიზებულია.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 22. გადახდის ოპერაციის ავტორიზაცია

1. გადახდის ოპერაცია ავტორიზებულად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გადამხდელის თანხმობა ოპერაციის განხორციელებაზე, თუკი საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გადამხდელმა შეიძლება გადახდის ოპერაციის ავტორიზება განახორციელოს გადახდის ოპერაციის შესრულებამდე ან მის შემდგომ, თუ ამ უკანასკნელის შესახებ გადამხდელსა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს შორის არსებობს შეთანხმება.

2. გადახდის ოპერაციის ან გადახდის ოპერაციების სერიის განხორციელებაზე თანხმობა გაიცემა გადამხდელსა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს შორის შეთანხმებული ფორმით. გადახდის ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობა შეიძლება გაიცეს მიმღების ან გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერის საშუალებით. თანხმობის არარსებობის შემთხვევაში გადახდის ოპერაცია არაავტორიზებულად მიიჩნევა.

3. გადამხდელს შეუძლია გამოითხოვოს თავისი თანხმობა გადახდის ოპერაციის განხორციელებაზე ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს ამ კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებული მომენტისა. გადამხდელს აგრეთვე შეუძლია გამოითხოვოს თანხმობა გადახდის ოპერაციების სერიის განხორციელებაზე. თანხმობის გამოთხოვის შემდეგ განხორციელებული ნებისმიერი გადახდის ოპერაცია არაავტორიზებულად მიიჩნევა.

4. თანხმობის გაცემის პროცედურა შეთანხმებული უნდა იყოს გადამხდელსა და შესაბამის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს/პროვაიდერებს შორის.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 22[1]. მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაცია

1. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია უზრუნველყოს მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაცია, როდესაც მისი მომხმარებელი – გადამხდელი ახორციელებს:

ა) დისტანციურად ონლაინრეჟიმში თავის საგადახდო ანგარიშზე წვდომას;

ბ) ელექტრონული გადახდის ოპერაციის ინიციირებას;

გ) დისტანციური არხის საშუალებით ნებისმიერ ისეთ ქმედებას, რომელიც თაღლითობის ან/და სხვა უკანონო ქმედების რისკის მატარებელია.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ელექტრონული გადახდის ოპერაციის ინიციირებისას საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაცია განახორციელოს ისეთი ელემენტების ჩართულობით, რომლებიც დისტანციური ელექტრონული გადახდის ოპერაციას დინამიკურად აკავშირებს ოპერაციის კონკრეტულ თანხასა და კონკრეტულ მიმღებთან.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია შემუშავებული და დანერგილი ჰქონდეს შესაბამისი უსაფრთხოების ზომები მომხმარებლის უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლების კონფიდენციალურობისა და მთლიანობის დასაცავად.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები აგრეთვე ვრცელდება გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერის საშუალებით ინიციირებულ გადახდის ოპერაციაზე. ამავე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები ასევე ვრცელდება ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერის საშუალებით ინფორმაციის მოთხოვნაზე.

5. ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ დანერგილი ინტერფეისი:

ა) ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერს უნდა აძლევდეს საშუალებას, დაეყრდნოს ავთენტიფიკაციის ყველა იმ პროცედურას, რომელსაც ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად ახორციელებს მომხმარებლის მიმართ;

ბ) გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერს უნდა აძლევდეს საშუალებას, დაეყრდნოს ავთენტიფიკაციის ყველა იმ პროცედურას, რომელსაც ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ამ მუხლის პირველი–მე-3 პუნქტების შესაბამისად ახორციელებს მომხმარებლის მიმართ.

6. საქართველოს ეროვნული ბანკი სამართლებრივი აქტებით ადგენს:

ა) მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის განხორციელების მიმართ მოთხოვნებს ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად;

ბ) ამ მუხლის პირველი–მე-3 პუნქტების მოთხოვნებიდან გამონაკლისებს;

გ) მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერის უსაფრთხოების ზომები, რათა დაცულ იქნეს მომხმარებლის უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლების კონფიდენციალურობა და მთლიანობა;

დ) იდენტიფიკაციის, ავთენტიფიკაციის, შეტყობინებისა და ინფორმაციის გადაცემის მიზნით, აგრეთვე უსაფრთხოების ზომების იმპლემენტაციისთვის ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერს, ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერს, გადამხდელს, მიმღებსა და სხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს შორის კომუნიკაციის ერთიანი და უსაფრთხო ღია სტანდარტების მიმართ მოთხოვნებს.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 22[2]. გადახდის ინიციირების მომსახურების ფარგლებში საგადახდო ანგარიშზე წვდომა

1. გადამხდელს უფლება აქვს, გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერისგან მიიღოს გადახდის ინიციირების მომსახურება, თუ შესაძლებელია ამ გადამხდელის საგადახდო ანგარიშზე ონლაინრეჟიმში წვდომა.

2. თუ გადამხდელის მიერ გაცემულია გადახდის ოპერაციის განხორციელებაზე ცალსახა თანხმობა ამ კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, გადამხდელის მიერ გადახდის ინიციირების მომსახურების მიღების უზრუნველსაყოფად ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია შეასრულოს ამ მუხლის მე-4 პუნქტის დებულებები.

3. გადახდის ინიციირების მომსახურების გაწევისას:

ა) გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერს არ აქვს უფლება, ნებისმიერ დროს ფლობდეს გადახდის ინიციირების მომსახურებასთან დაკავშირებულ მომხმარებლის თანხას;

ბ) გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მომხმარებლის უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლები არ იყოს ხელმისაწვდომი სხვა ნებისმიერი პირისთვის, გარდა თავად მომხმარებლისა და ამ მახასიათებლების გამომშვები პირისა. გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერი აგრეთვე ვალდებულია უზრუნველყოს მომხმარებლის უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლების უსაფრთხო და ეფექტიანი არხებით გადაცემა;

გ) გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია უზრუნველყოს მომხმარებლის შესახებ ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულის გარდა სხვა ნებისმიერი მიღებული ინფორმაციის მხოლოდ მიმღებისთვის მიწოდება მომხმარებლის ცალსახა თანხმობის საფუძველზე;

დ) გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია გადახდის ინიციირების ყოველ

ჯერზე გადამხდელის ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან მოახდინოს საკუთარი თავის იდენტიფიცირება, აგრეთვე ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან, გადამხდელსა და მიმღებთან უსაფრთხო კომუნიკაცია განახორციელოს ამ კანონის 22^1 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად;

ე) გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერს არ აქვს უფლება, შეინახოს მომხმარებლის სენსიტიური საგადახდო მონაცემები;

ვ) გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერს არ აქვს უფლება, მომხმარებელს მოსთხოვოს დამატებითი მონაცემები, გარდა გადახდის ინიციირების მომსახურების განსახორციელებლად აუცილებელი მონაცემებისა;

ზ) გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერს უფლება აქვს, გამოიყენოს, წვდომა ჰქონდეს ან შეინახოს ნებისმიერი მონაცემი მხოლოდ გადამხდელის მიერ ცალსახად მოთხოვნილი გადახდის ინიციირების მომსახურების შესრულების მიზნით;

თ) გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერს არ აქვს უფლება, შეცვალოს ოპერაციის თანხის ოდენობა, მიმღები ან სხვა მონაცემები.

4. ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია:

ა) განახორციელოს უსაფრთხო კომუნიკაცია გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერთან ამ კანონის 22^1 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერისგან საგადახდო დავალების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი გახადოს ან მიაწოდოს მას გადახდის ოპერაციის ინიციირების შესახებ, აგრეთვე გადახდის ოპერაციის შესრულებასთან დაკავშირებული მისთვის ხელმისაწვდომი ყველა ინფორმაცია;

გ) არ დაუშვას დისკრიმინაციული მიდგომა გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერის საშუალებით მიღებულ საგადახდო დავალებასა და მის მიერ უშუალოდ გადამხდელისგან მიღებულ საგადახდო დავალებას შორის, მათ შორის, საგადახდო დავალების შესრულების დროის, პრიორიტეტულობის ან საკომისიოების თვალსაზრისით, გარდა ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევისა.

5. ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერს მისცეს მომხმარებლისთვის გადახდის ინიციირების მომსახურების მიწოდების საშუალება, მიუხედავად გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერსა და ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერს შორის ამ მიზნით სახელშეკრულებო ურთიერთობების არსებობისა ან მისი შინაარსისა.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 22^3. ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურების ფარგლებში საგადახდო ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომა

1. მომხმარებელს უფლება აქვს, ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერისგან მიიღოს ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურება, თუ შესაძლებელია ამ გადამხდელის საგადახდო ანგარიშზე ონლაინრეჟიმში წვდომა.

2. ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურების გაწევისას:

ა) ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერი ვალდებულია მომხმარებელს მომსახურება მიაწოდოს მხოლოდ მისი ცალსახა თანხმობის შემთხვევაში;

ბ) ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მომხმარებლის უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლები არ იყოს ხელმისაწვდომი სხვა ნებისმიერი პირისთვის, გარდა თავად მომხმარებლისა და ამ მახასიათებლების გამომშვები პირისა. ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერი აგრეთვე ვალდებულია უზრუნველყოს მომხმარებლის უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლების უსაფრთხო და ეფექტიანი არხებით გადაცემა;

გ) ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერი ვალდებულია კომუნიკაციის თითოეული სესიისას მომხმარებლის ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან/პროვაიდერებთან მოახდინოს საკუთარი თავის იდენტიფიცირება, აგრეთვე ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან/პროვაიდერებთან და მომხმარებელთან განახორციელოს უსაფრთხო კომუნიკაცია ამ კანონის 22^1 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად;

დ) ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერს უფლება აქვს, წვდომა ჰქონდეს მხოლოდ მომხმარებლის მიერ განსაზღვრულ საგადახდო ანგარიშებსა და ამ ანგარიშებთან დაკავშირებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციაზე;

ე) ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერს არ აქვს უფლება, მოითხოვოს საგადახდო ანგარიშებთან დაკავშირებული სენსიტიური საგადახდო მონაცემები;

ვ) ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერს უფლება აქვს, გამოიყენოს, წვდომა ჰქონდეს ან შეინახოს ნებისმიერი მონაცემი მხოლოდ მომხმარებლის მიერ ცალსახად მოთხოვნილი ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურების შესრულების მიზნით. ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერი ვალდებულია პერსონალური მონაცემები დაამუშაოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საგადახდო ანგარიშებთან მიმართებით ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია:

ა) განახორციელოს უსაფრთხო კომუნიკაცია ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერთან ამ კანონის 22^1 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) არ დაუშვას ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერის საშუალებით მიღებულ მოთხოვნებთან მიმართებით დისკრიმინაციული მიდგომა, გარდა ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევისა.

4. ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერს მისცეს მომხმარებლისთვის ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურების მიწოდების საშუალება, მიუხედავად ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერსა და ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერს შორის ამ მიზნით სახელშეკრულებო ურთიერთობების არსებობისა ან მისი შინაარსისა.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 23. საგადახდო დავალება

1. მომხმარებლის მიერ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისათვის მიცემული საგადახდო დავალება უნდა შეესაბამებოდეს პროვაიდერის წესებით დადგენილ სტანდარტებს და უნდა შეიცავდეს იმ რეკვიზიტებს, რომლებიც უზრუნველყოფს პროვაიდერის მიერ საგადახდო დავალების შესრულებას, და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა ინფორმაციას.

2. საგადახდო დავალების ფორმასა და სტრუქტურას განსაზღვრავს პროვაიდერი.

3. პროვაიდერი პასუხისმგებელია საგადახდო დავალების საგადახდო სისტემისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით თავის მიერ დამატებულ ინფორმაციაზე.

4. მომხმარებელი პასუხისმგებელია თავის მიერ პროვაიდერისათვის საგადახდო დავალებით მიწოდებული რეკვიზიტების სისწორისა და სისრულისთვის.

5. საგადახდო დავალება შეიძლება გაიცეს როგორც წერილობით, ისე ელექტრონული, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ან სხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განსაზღვროს საგადახდო დავალების მიცემის (ინიციირების) ამ მუხლით დადგენილისგან განსხვავებული წესი.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.

მუხლი 24. საგადახდო დავალების მიღება

1. საგადახდო დავალების მიღების დროდ ითვლება მომენტი, როდესაც გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი მიიღებს საგადახდო დავალებას, მიუხედავად იმისა, ის ინიციირებულია გადამხდელის თუ მიმღების მიერ. თუ საგადახდო დავალება გადამხდელის პროვაიდერის მიერ მიღებულია მისთვის არასამუშაო დღეს, იგი მომდევნო სამუშაო დღეს მიღებულად ჩაითვლება. გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია დააწესოს სამუშაო დღის ბოლოსთან მიახლოებული გარკვეული დრო, რომლის შემდეგ მიღებული საგადახდო დავალება მომდევნო სამუშაო დღეს მიღებულად ჩაითვლება. დაუშვებელია გადამხდელის ანგარიშის დადებეტება საგადახდო დავალების მიღებამდე. გადამხდელის ანგარიშის დადებეტება უნდა განხორციელდეს საგადახდო დავალების შესრულების დღის თარიღით.

2. თუ მომხმარებელსა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს შორის შეთანხმება ითვალისწინებს საგადახდო დავალების შესრულებას განსაზღვრულ დღეს/დღეებში ან განსაზღვრული პერიოდის/პერიოდების ბოლოს ან გადამხდელის მიერ საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან თანხის განთავსების დღეს, დავალების მიღების მომენტად ამ კანონის 26-ე მუხლის მიზნებისთვის ითვლება აღნიშნული შეთანხმებული დღე. თუ შეთანხმებული დღე ამ მომხმარებლის პროვაიდერისთვის არასამუშაო დღეა, საგადახდო დავალების მიღების დღედ ჩაითვლება შეთანხმებული დღის მომდევნო სამუშაო დღე.

3. გადამხდელის პროვაიდერი ვალდებულია საგადახდო დავალების მიღების დღეს მხარეებს შორის შეთანხმებული ფორმით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში აცნობოს გადამხდელს საგადახდო დავალების მიღება ან სხვაგვარად გახადოს ეს ინფორმაცია მისთვის ხელმისაწვდომი.

4. თუ საგადახდო დავალება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შეთანხმებულ დღეს უნდა შესრულდეს, გადამხდელის პროვაიდერი უფლებამოსილია საგადახდო დავალება მიიღოს ამ თარიღის დადგომამდე ნებისმიერ დროს, გადამხდელის ანგარიშზე ფულადი სახსრების არარსებობის მიუხედავად, თუკი გადამხდელსა და მის პროვაიდერს შორის დადებული შეთანხმებით ან/და პროვაიდერის წესებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 25. საგადახდო დავალების უარყოფა

1. თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უარს ამბობს საგადახდო დავალების შესრულებაზე ან გადახდის ოპერაციის ინიციირებაზე, იგი ვალდებულია მომხმარებელს აცნობოს აღნიშნულის შესახებ. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია მიუთითოს უარის თქმის საფუძველი და მიაწოდოს ან სხვაგვარად გახადოს ხელმისაწვდომი იმ ფაქტობრივი ხარვეზების გამოსწორების პროცედურა, რომლებმაც განაპირობა უარის თქმა, თუ ასეთი ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია.

2. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მომხმარებელს მიაწოდოს მასთან შეთანხმებული ფორმით ან სხვაგვარად გახადოს ეს ინფორმაცია მისთვის ხელმისაწვდომი შეძლებისდაგვარად მოკლე დროში, მაგრამ არაუგვიანეს საგადახდო დავალების შესრულების ვადისა.

3. ჩარჩოხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს პირობას, რომლის თანახმად საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია დააწესოს გონივრული ოდენობის საკომისიო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უარი ობიექტურად არის დასაბუთებული და იგი განპირობებულია მომხმარებლის მიზეზით.

4. თუ დაცულია გადამხდელსა და მის პროვაიდერს შორის ჩარჩოხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნები, გადამხდელის ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერს უფლება არ აქვს, უარი განაცხადოს ავტორიზებული საგადახდო დავალების შესრულებაზე, მიუხედავად იმისა, ის ინიციირებული იყო გადამხდელის მიერ (მათ შორის, გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერის საშუალებით) თუ მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. თუ შეთანხმებული დღისთვის გადამხდელს არ აქვს გადახდის ოპერაციის განსახორციელებლად საკმარისი თანხა, გადამხდელის პროვაიდერს უფლება აქვს, უარი თქვას საგადახდო დავალების შესრულებაზე, თუკი გადამხდელსა და მის პროვაიდერს შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აღნიშნული საფუძვლით საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ საგადახდო დავალებაზე უარის თქმის შემთხვევაში არ მოქმედებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლება საკომისიოს დაწესების შესახებ.

6. უარყოფილი საგადახდო დავალება არ ჩაითვლება მიღებულად ამ კანონის 26-ე და 31-ე მუხლების მიზნებისთვის.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 26. საგადახდო დავალების შესრულების ვადები

1. თუ გადამხდელი და მიმღები ერთი და იმავე პროვაიდერის მომხმარებლები არიან, პროვაიდერმა უნდა უზრუნველყოს საგადახდო დავალებაში მითითებული თანხის მიმღების ანგარიშზე ასახვა ან/და მისთვის ამ თანხის სხვაგვარად ხელმისაწვდომობა საგადახდო დავალების მიღების დღეს, თუკი საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. თუ გადამხდელსა და მიმღებს სხვადასხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ჰყავთ:

ა) გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერმა უნდა უზრუნველყოს საგადახდო დავალებაში მითითებული თანხის მიმღების პროვაიდერის ანგარიშზე ჩარიცხვა საგადახდო დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) მიმღების პროვაიდერი ვალდებულია მის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღეს, ხოლო თუ თანხის ჩარიცხვის დღე პროვაიდერისთვის არასამუშაო დღეა – არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ასახოს ჩარიცხული თანხა მიმღების ანგარიშზე ან ეს თანხა სხვაგვარად გახადოს მისთვის ხელმისაწვდომი. თუკი გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი არ არის ამ კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირი, საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით შესაძლოა განისაზღვროს ამ ქვეპუნქტისგან განსხვავებული მოთხოვნები.

3. გადახდის ოპერაციის თანხაზე სარგებლის თარიღი გადამხდელის საგადახდო ანგარიშისთვის არ უნდა უსწრებდეს იმ თარიღს, როდესაც ამ ანგარიშზე განხორციელდა გადახდის ოპერაციის თანხის დადებეტება.

4. თუ მიმღების პროვაიდერი ვერ ახერხებს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მიმღების დადგენას, მიმღების პროვაიდერმა უნდა უზრუნველყოს თანხის დაბრუნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

5. მიმღების პროვაიდერი ვალდებულია მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით ინიციირებული საგადახდო დავალება გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს გადასცეს ანგარიშსწორებისთვის მიმღების პროვაიდერსა და მიმღებს შორის შეთანხმებულ ვადაში, ხოლო პირდაპირი დებეტის შემთხვევაში – შეთანხმებულ დღეს.

6. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია მიმღებისთვის თანხა ხელმისაწვდომი გახადოს ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის დაცვით იმ შემთხვევაშიც, თუ მიმღებს ამ საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან საგადახდო ანგარიში არ აქვს.

7. მომხმარებლის მიერ საგადახდო ანგარიშზე ამ ანგარიშის ვალუტაში ნაღდი თანხის შეტანისას ან მისი ელექტრონულ ფულზე გადაცვლისას პროვაიდერი ვალდებულია ეს თანხა მისი მიღებიდან დაუყოვნებლივ დაუკრედიტოს და ხელმისაწვდომი გახადოს ანგარიშის მფლობელისთვის ან ელექტრონული ფულის მომხმარებლისთვის. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია ინკასირებული ნაღდი ფულის იურიდიული პირის ანგარიშზე შეტანისას თანხა მისთვის ხელმისაწვდომი გახადოს არაუგვიანეს მისი მიღების დღის მომდევნო სამუშაო დღისა.

8. გადამხდელს უფლება აქვს, საგადახდო დავალების შესრულების დასადასტურებლად თავის პროვაიდერს

დამატებით მოსთხოვოს დადასტურებული დოკუმენტი. საგადახდო დავალების შესრულების დადასტურების მიზნით დოკუმენტი გაიცემა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით, მატერიალური ან ელექტრონული ფორმით. იგი, გარდა გადამხდელის მიერ საგადახდო დავალებაში მითითებული ინფორმაციისა, უნდა შეიცავდეს ამავე წესით განსაზღვრულ ინფორმაციას.

9. გადახდის ოპერაციის რეკვიზიტების საფუძველზე გადახდის ოპერაციის საგადახდო სისტემაში გატარება/არსებობა, ოპერაციის რეკვიზიტები, დანიშნულება და თარიღი, აგრეთვე მიმღების პროვაიდერის ანგარიშზე ჩარიცხვა შეიძლება დადასტურდეს ნებისმიერი უფლებამოსილი პირის წინაშე, წერილობით ან ელექტრონული ფორმით, სისტემიდან მიღებული ელექტრონული დოკუმენტით.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 27. გადახდის შესრულება

1. გადახდა შესრულებულად ითვლება მიმღების ანგარიშზე ფულადი სახსრების ჩარიცხვის მომენტიდან, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. მიმღებს უფლება აქვს, მის ანგარიშზე ფულადი სახსრების ჩარიცხვამდე განსაზღვროს დრო ან გარემოება, როდესაც გადახდას შესრულებულად ჩათვლის.

მუხლი 28. გადარიცხული და ჩარიცხული თანხების ოდენობები

1. გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, ასევე ამ პროვაიდერის ნებისმიერი შუამავალი, რომელიც საგადახდო დავალების შესრულებაში მონაწილეობს, ვალდებული არიან, გადარიცხონ საგადახდო დავალებაში მითითებული სრული თანხა.

2. მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერის შუამავალი პროვაიდერი ვალდებულია გადარიცხოს საგადახდო დავალებაში მითითებული სრული თანხა, ხოლო მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია მიმღების ანგარიშზე ასახოს ან სხვაგვარად გახადოს მისთვის ხელმისაწვდომი თანხა მიმღების პროვაიდერის ანგარიშზე ჩარიცხული თანხის ოდენობით, თუ მიმღებსა და მის პროვაიდერს შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუკი მიმღებსა და მის პროვაიდერს შორის შეთანხმებით გათვალისწინებულია საკომისიოს დაკავების უფლება, მიმღების პროვაიდერი ვალდებულია მიმღებთან შეთანხმებული ფორმით მიაწოდოს მას ინფორმაცია მიმღების პროვაიდერის ანგარიშზე ჩარიცხული თანხისა და დაკავებული საკომისიოს ოდენობების შესახებ.

3. თუ გადარიცხული თანხიდან დაკავებულ იქნა საკომისიო, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საკომისიოსი, გადამხდელის პროვაიდერი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მიმღებმა ან მიმღების პროვაიდერმა მიიღოს გადამხდელის მიერ ინიციირებულ საგადახდო დავალებაში მითითებული სრული თანხა. თუკი საგადახდო დავალება ინიციირებულია მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით, მიმღების პროვაიდერი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მიმღებმა მიიღოს საგადახდო დავალებაში მითითებული სრული თანხა.

4. დაუშვებელია საგადახდო დავალების ნაწილობრივ შესრულება, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 29. საგადახდო დავალების გამოთხოვის დაუშვებლობა

1. მომხმარებელს არ აქვს უფლება, გამოითხოვოს საგადახდო დავალება, თუ იგი მიღებულია გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ, გარდა ამ მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა.

2. თუ საგადახდო დავალება ინიციირებულია გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერის მიერ ან მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით, გარდა პირდაპირი დებეტისა, გადამხდელს არ აქვს უფლება, გამოითხოვოს იგი, თუ მას გადახდის ოპერაციის ინიციირებაზე გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერისთვის ან მიმღებისთვის დავალების შესრულებაზე თანხმობა აქვს გაცემული.

3. პირდაპირი დებეტის შემთხვევაში გადამხდელს უფლება აქვს, გამოითხოვოს საგადახდო დავალება არაუგვიანეს სადებეტო ოპერაციისთვის შეთანხმებული დღის წინა სამუშაო დღის ბოლომდე. აღნიშნული უფლების გამოუყენებლობა არ ართმევს გადამხდელს გადახდის ოპერაციის თანხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

4. ამ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს, გამოითხოვოს საგადახდო დავალება არაუგვიანეს შეთანხმებული დღის წინა სამუშაო დღისა.

5. მომხმარებელსა და შესაბამის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს/პროვაიდერებს შორის შესაბამისი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში საგადახდო დავალება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს ამ მუხლის პირველი–მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ კანონის მე-8 და მე-9 მუხლების დებულებების შესაბამისად. აღნიშნული შეთანხმების არსებობისას ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადამხდელის მიერ საგადახდო დავალების გამოთხოვისთვის სავალდებულოა მიმღებთან შესაბამისი შეთანხმების არსებობა.

6. თუ მომსახურება გაწეულია ჩარჩოხელშეკრულების ფარგლებში, ჩარჩოხელშეკრულება შეიძლება

ითვალისწინებდეს პირობას საგადახდო დავალების გამოთხოვისთვის საკომისიოს შესახებ.
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 30. საგადახდო ინსტრუმენტსა და ავთენტიფიკაციის საშუალებებთან დაკავშირებული ვალდებულებები

1. საგადახდო ინსტრუმენტის მომხმარებელი ვალდებულია:

ა) გამოიყენოს საგადახდო ინსტრუმენტი ამ საგადახდო ინსტრუმენტის გამოშვებისა და გამოყენებისთვის დადგენილი პირობების შესაბამისად;

ბ) საგადახდო ინსტრუმენტის მიღებისთანავე გონივრული ქმედებებით უზრუნველყოს ამ ინსტრუმენტის უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლების უსაფრთხოდ შენახვა;

გ) საგადახდო ინსტრუმენტის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან არაუფლებამოსილი გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში მისი აღმოჩენიდან გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს თავის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს ან ამ პროვაიდერის მიერ განსაზღვრულ პირს.

2. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, რომელიც უშვებს საგადახდო ინსტრუმენტს, ვალდებულია:

ა) მიიღოს ყველა შესაძლო უსაფრთხოების ზომა საგადახდო ინსტრუმენტის დაცულობისა და მისი არამართლზომიერი გამოყენების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად;

ბ) არ გახადოს საგადახდო ინსტრუმენტის უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლები ხელმისაწვდომი სხვა პირებისთვის, გარდა ამ ინსტრუმენტის მომხმარებლისა. აღნიშნული არ ათავისუფლებს მომხმარებელს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან;

გ) ნათლად გააცნოს მომხმარებელს საგადახდო ინსტრუმენტის უსაფრთხოების მოთხოვნები;

დ) დანერგოს შესაბამისი საშუალებები მომხმარებლის ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შეტყობინების, აგრეთვე საგადახდო ინსტრუმენტის ამ კანონის 30^1 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განბლოკვის მოთხოვნის ნებისმიერ დროს მიღების უზრუნველსაყოფად. მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში პროვაიდერი ვალდებულია მიაწოდოს მას შესაბამისი შეტყობინების ან/და მოთხოვნის მიღების დასტური, თუ მისი მიღებიდან გასული არ არის 18 თვეზე მეტი;

ე) მომხმარებლის ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შეტყობინების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს საგადახდო ინსტრუმენტის შემდგომი გამოყენების აღკვეთა;

ვ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეტყობინება მიიღოს უსასყიდლოდ. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია მოითხოვოს მხოლოდ საგადახდო ინსტრუმენტის ჩანაცვლებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება. ხარჯების ანაზღაურების აღნიშნული უფლება არ იზღუდება დაკარგული ინსტრუმენტის ჩანაცვლების შემთხვევაში;

ზ) მომხმარებელს არ გაუგზავნოს საგადახდო ინსტრუმენტი მისი მოთხოვნის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ მომხმარებლისთვის უკვე გადაცემული ინსტრუმენტი ჩანაცვლებას ექვემდებარება;

თ) დაადგინოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგადახდო ინსტრუმენტის გამოშვებისა და გამოყენების პირობები, რომლებიც უნდა იყოს ობიექტური, არადისკრიმინაციული და პროპორციული.

3. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია საკუთარ თავზე აიღოს როგორც საგადახდო ინსტრუმენტის, ისე მისი უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლების გაგზავნასთან დაკავშირებული ყველა რისკი.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული მომხმარებლისა და პროვაიდერის ვალდებულებები აგრეთვე ვრცელდება საგადახდო ანგარიშზე წვდომისთვის გამოსაყენებელი უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლების მიმართ.
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 30^1. საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენების და საგადახდო ანგარიშზე წვდომის შეზღუდვა

1. თუ გადახდის ოპერაციის შესრულებაზე თანხმობა გაიცემა საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენებით, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი გადამხდელთან შეთანხმების საფუძველზე უფლებამოსილია დააწესოს ხარჯვის ლიმიტები ამ ინსტრუმენტით განხორციელებულ ოპერაციებზე.

2. საგადახდო მომსახურების პროვაიდერს უფლება აქვს, ჩარჩოხელშეკრულებაში გათვალისწინებული შეთანხმების საფუძველზე დაბლოკოს საგადახდო ინსტრუმენტი ამავე ინსტრუმენტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ობიექტურად დასაბუთებული საფუძვლით, საგადახდო ინსტრუმენტის თაღლითური ან/და არაუფლებამოსილი გამოყენების შესახებ ეჭვის არსებობისას, აგრეთვე საკრედიტო ლიმიტის მქონე საგადახდო ინსტრუმენტის შემთხვევაში გადამხდელის მიერ გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის მნიშვნელოვნად ზრდის შემთხვევაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საგადახდო ინსტრუმენტის დაბლოკვის შემთხვევაში საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია გადამხდელს შეთანხმებული ფორმით შეატყობინოს საგადახდო ინსტრუმენტის დაბლოკვის შესახებ შესაბამისი მიზეზის მითითებით, შესაძლებლობის შემთხვევაში

საგადახდო ინსტრუმენტის დაბლოკვამდე, მაგრამ არაუგვიანეს დაბლოკვისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაბლოკვის საფუძვლის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება დაუშვებელია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ობიექტურად დასაბუთებული მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. საგადახდო ინსტრუმენტის დაბლოკვის მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე განბლოკოს საგადახდო ინსტრუმენტი ან ჩაანაცვლოს ის ახალი საგადახდო ინსტრუმენტით.

5. ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია უარი განუცხადოს ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერს ან/და გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერს საგადახდო ანგარიშზე წვდომაზე ობიექტური მიზეზებით და შესაბამის მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც დაკავშირებულია მათ მიერ ან მათი საშუალებით ამ საგადახდო ანგარიშზე არაავტორიზებულ ან თაღლითურ წვდომასთან ან/და გადახდის ოპერაციის არაავტორიზებულ ან თაღლითურ ინიციირებასთან.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია გადამხდელს შეთანხმებული ფორმით შეატყობინოს საგადახდო ანგარიშზე წვდომის შეზღუდვის შესახებ შესაბამისი მიზეზის მითითებით, შესაძლებლობის შემთხვევაში წვდომის შეზღუდვამდე, მაგრამ არაუგვიანეს წვდომის შეზღუდვისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წვდომის შეზღუდვის საფუძვლის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება დაუშვებელია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ობიექტურად დასაბუთებული მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7. ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია შესაბამისი ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერისთვის/გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერისთვის საგადახდო ანგარიშზე წვდომა დაუშვას ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წვდომაზე უარის საფუძვლების აღმოფხვრისთანავე.

8. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერსა და გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერთან დაკავშირებული ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ინციდენტის შესახებ დეტალებს და ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ ქმედების განხორციელების საფუძვლებს. საქართველოს ეროვნული ბანკი განიხილავს ინციდენტს და საჭიროების შემთხვევაში იღებს შესაბამის ზომებს.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 30[2]. არასწორი უნიკალური იდენტიფიკატორი

1. თუ საგადახდო დავალება შესრულებულია უნიკალური იდენტიფიკატორის მიხედვით, ის ითვლება სწორად შესრულებულად იმ მიმღების მიმართ, რომელსაც უნიკალური იდენტიფიკატორი განსაზღვრავს.

2. თუ მომხმარებლის მიერ მითითებული უნიკალური იდენტიფიკატორი არასწორია, საგადახდო მომსახურების პროვაიდერს არ ეკისრება ამ კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა გადახდის ოპერაციის შეუსრულებლობისთვის ან მისი არასწორად შესრულებისთვის.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია მიიღოს ყველა შესაძლო ზომა გადახდის ოპერაციის თანხის დასაბრუნებლად. მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია ითანამშრომლოს გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან, მათ შორის, მიაწოდოს მას თანხის დაბრუნებისთვის საჭირო ყველა შესაბამისი ინფორმაცია.

4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული თანხის დაბრუნება შეუძლებელია, გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია გადამხდელის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას მისთვის ცნობილი და გადამხდელთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ინფორმაცია, რომლითაც გადამხდელი შეძლებს თანხის დაბრუნების მიზნით სამართლებრივ დავას.

5. თუ მომხმარებლის მიზეზის გამო გადახდის ოპერაცია არასწორად შესრულდა, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია მომხმარებელს დაუწესოს საკომისიო თანხის დაბრუნებისთვის, თუ აღნიშნული პირობა გათვალისწინებულია მათ შორის დადებული ჩარჩოხელშეკრულებით.

6. თუ გადამხდელი მიაწვდის თავის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს უნიკალურ იდენტიფიკატორთან ერთად სხვა დამატებით ინფორმაციასაც, ეს პროვაიდერი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ უნიკალური იდენტიფიკატორის საფუძველზე გადახდის ოპერაციის შესრულებისთვის, რომელიც მიაწოდა გადამხდელმა.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 31. პასუხისმგებლობა გადამხდელის მიერ ინიციირებული საგადახდო დავალების შეუსრულებლობისთვის, არასწორად ან დაგვიანებით შესრულებისთვის

1. ამ კანონის მე-19 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 30[2] მუხლის მე-2 პუნქტისა და 32-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების დებულებების დაცვით, გადამხდელის პროვაიდერი პასუხისმგებელია გადამხდელის წინაშე უშუალოდ გადამხდელის მიერ ინიციირებული საგადახდო დავალების სწორად შესრულებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას შეუძლია დაუსაბუთოს გადამხდელს, საჭიროების შემთხვევაში –

მიმღების პროვაიდერს, რომ მიმღების პროვაიდერს მიღებული აქვს გადახდის ოპერაციის თანხა ამავე კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. თუ გადამხდელის პროვაიდერმა დაასაბუთა მის მიერ გადამხდელის საგადახდო დავალების შესრულების სისწორე, მიმღების პროვაიდერი პასუხისმგებელია მიმღების მიმართ გადახდის ოპერაციის განხორციელების სისწორისთვის.

2. თუ გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს პასუხისმგებლობა ეკისრება ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ის ვალდებულია გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე გადამხდელს აუნაზღაუროს შეუსრულებელი ან არასწორად შესრულებული გადახდის ოპერაციის თანხა, ხოლო, საგადახდო ანგარიშის არსებობის შემთხვევაში, გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია აღადგინოს დადებეტებული საგადახდო ანგარიში იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იქნებოდა არასწორად შესრულებული გადახდის ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. დაკრედიტებულ თანხაზე სარგებლის თარიღი უნდა იყოს არაუგვიანეს თანხის დადებეტების თარიღისა.

3. თუ მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერს პასუხისმგებლობა ეკისრება ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ის ვალდებულია მიმღებისთვის გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე ხელმისაწვდომი გახადოს გადახდის ოპერაციის თანხა, ხოლო, საგადახდო ანგარიშის არსებობის შემთხვევაში, მიმღების საგადახდო ანგარიში დააკრედიტოს შესაბამისი თანხის ოდენობით. დაკრედიტებულ თანხაზე სარგებლის თარიღი უნდა იყოს არაუგვიანეს იმ თარიღისა, რომელშიც ოპერაცია უნდა შესრულებულიყო ამ კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში.

4. თუ გადახდის ოპერაცია გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიზეზით დაგვიანებით შესრულდა, მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია გადამხდელის სახელით მოქმედი გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოს, რომ მიმღებისთვის დაგვიანებით ჩარიცხულ თანხაზე სარგებლის თარიღი იყოს არაუგვიანეს იმ თარიღისა, რომელშიც ოპერაცია უნდა შესრულებულიყო ამ კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად სწორად განხორციელების შემთხვევაში.

5. თუ გადამხდელის მიერ ინიციირებული გადახდის ოპერაცია არ შესრულდა ან შესრულდა არასწორად, გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის ამ მუხლის შესაბამისად პასუხისმგებელი, გადამხდელის მოთხოვნის საფუძველზე მიიღოს დაუყოვნებლივი ზომები გადახდის ოპერაციის მოკვლევის მიზნით და შედეგი აცნობოს გადამხდელს. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია აღნიშნული ქმედებები გადამხდელისთვის განახორციელოს უსასყიდლოდ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახდის ოპერაციის შესრულებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა და ამავდროულად ოპერაციის შეუსრულებლობა ან არასწორად შესრულება გამოწვეული იყო მომხმარებლის მიზეზით. ამ შემთხვევაში დაკისრებული საკომისიო უნდა იყოს გონივრული.

6. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია თავის მომხმარებელს აუნაზღაუროს ის ხარჯი, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა პროვაიდერს ეკისრება, აგრეთვე მიუღებელი სადეპოზიტო სარგებელი, რომელიც წარმოეშვა ამ მომხმარებელს თავის საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან უშუალოდ გადახდის ოპერაციის შეუსრულებლობის, არასწორად ან დაგვიანებით შესრულების შედეგად.

7. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია თავის მომხმარებელს მოსთხოვოს ამ მუხლით გათვალისწინებულ გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია. მოთხოვნის საფუძველზე გადამხდელი და მიმღები ვალდებული არიან თავიანთ პროვაიდერს/პროვაიდერებს მიაწოდონ აღნიშნული ინფორმაცია.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 31[1]. პასუხისმგებლობა მიმღების მიერ ან მისი საშუალებით ინიციირებული საგადახდო დავალების შეუსრულებლობისთვის, არასწორად ან დაგვიანებით შესრულებისთვის

1. ამ კანონის მე-19 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 30[2] მუხლის მე-2 პუნქტისა და 32-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების დებულებების დაცვით, თუ საგადახდო დავალება ინიციირებულია მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით, მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერი პასუხისმგებელია მიმღების წინაშე გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის მიმღების საგადახდო დავალების ამავე კანონის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გადაცემისთვის. თუ მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერმა გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს სწორად არ გადასცა მიმღების საგადახდო დავალება, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ ხელახლა გადასცეს შესაბამისი საგადახდო დავალება გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს.

2. საგადახდო დავალების დაგვიანებით გადაცემის შემთხვევაში მიმღებისთვის დაგვიანებით ჩარიცხულ თანხაზე სარგებლის თარიღი უნდა იყოს არაუგვიანეს იმ თარიღისა, რომელშიც თანხა ჩაირიცხებოდა ოპერაციის სწორად შესრულების შემთხვევაში.

3. თუ საგადახდო დავალება ინიციირებულია მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით, ამ კანონის მე-19 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 30[2] მუხლის მე-2 პუნქტისა და 32-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების დებულებების დაცვით, მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერი პასუხისმგებელია მიმღების წინაშე გადახდის ოპერაციის ამავე კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად შესრულებისთვის. თუკი მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერს პასუხისმგებლობა დაეკისრა ამ პუნქტის შესაბამისად, ის ვალდებულია მიმღების

საგადახდო ანგარიში დააკრედიტოს შესაბამისი თანხის ოდენობით და ეს თანხა დაუყოვნებლივ გახადოს ხელმისაწვდომი. დაკრედიტებულ თანხაზე სარგებლის თარიღი უნდა იყოს არაუგვიანეს იმ თარიღისა, რომელშიც თანხა ჩაირიცხებოდა ოპერაციის სწორად შესრულების შემთხვევაში.

4. მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით ინიციირებული გადახდის ოპერაციის შეუსრულებლობის ან არასწორად შესრულების შემთხვევაში, რომლისთვისაც მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, პასუხისმგებლობა გადამხდელის წინაშე ეკისრება გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს. ასეთ შემთხვევაში გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე აუნაზღაუროს გადამხდელს შეუსრულებელი ან არასწორად შესრულებული გადახდის ოპერაციის თანხა. პროვაიდერმა უნდა აღადგინოს მომხმარებლის დადებეტებული საგადახდო ანგარიში იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იქნებოდა არასწორად შესრულებული გადახდის ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. დადებეტებულ თანხაზე სარგებლის თარიღი უნდა იყოს არაუგვიანეს თანხის დადებეტების თარიღისა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ ეკისრება გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, თუ ის დაასაბუთებს, რომ მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერმა მიიღო გადახდის ოპერაციის თანხა ამ კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ჩარიცხულ თანხაზე სარგებლის თარიღი უნდა იყოს არაუგვიანეს იმ თარიღისა, რომელშიც ოპერაცია უნდა შესრულებულიყო სწორად განხორციელების შემთხვევაში.

6. თუ მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით ინიციირებული გადახდის ოპერაცია არ შესრულდა ან შესრულდა არასწორად, მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია, მიუხედავად ამ მუხლის პირველი–მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისა, მიმღების მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს დაუყოვნებლივი ზომები გადახდის ოპერაციის მოკვლევის მიზნით და შედეგი აცნობოს მიმღებს. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია აღნიშნული ქმედებები მიმღებისთვის განახორციელოს უსასყიდლოდ.

7. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია თავის მომხმარებლებს აუნაზღაუროს ხარჯი, აგრეთვე მიუღებელი სადეპოზიტო სარგებელი, რომელიც წარმოეშვა ამ მომხმარებელს თავის საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან უშუალოდ გადახდის ოპერაციის შეუსრულებლობის, არასწორად ან დაგვიანებით შესრულების შედეგად.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 31^2. პასუხისმგებლობა გადახდის ინიციირების მომსახურებისას საგადახდო დავალების შეუსრულებლობისთვის, არასწორად ან დაგვიანებით შესრულებისთვის

1. ამ კანონის მე-19 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 30^2 მუხლის მე-2 პუნქტისა და 32-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების დებულებების დაცვით, თუ საგადახდო დავალება გადამხდელის მიერ ინიციირებულია გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერის საშუალებით, ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე გადამხდელს აუნაზღაუროს შეუსრულებელი ან არასწორად შესრულებული გადახდის ოპერაციის თანხა. პროვაიდერი ვალდებულია აღადგინოს მომხმარებლის დადებეტებული საგადახდო ანგარიში (მიუღებელი სადეპოზიტო სარგებლის ჩათვლით) იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იქნებოდა არასწორად შესრულებული გადახდის ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო.

2. გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ საგადახდო დავალება გადამხდელის ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ მიღებულ იქნა ამ კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად. მას აგრეთვე ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ მისი ზეგავლენის სფეროში ინიციირებული გადახდის ოპერაცია ავთენტიფიცირებული და სწორად ჩაწერილი იყო და რომ მის საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ გაუმართაობას ან სხვა დეფექტს გავლენა არ მოუხდენია ოპერაციის შეუსრულებლობაზე, არასწორად ან დაგვიანებით შესრულებაზე.

3. თუ გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერი პასუხისმგებელია გადახდის ოპერაციის შეუსრულებლობისთვის, არასწორად ან დაგვიანებით შესრულებისთვის, ის ვალდებულია ამ კანონის 33^3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, ამ უკანასკნელის მოთხოვნის საფუძველზე, დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს გადამხდელისთვის ანაზღაურებული თანხა, აგრეთვე ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზიანი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 32. შეტყობინება არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული გადახდის ოპერაციის შესახებ

1. მომხმარებელი უფლებამოსილია საგადახდო მომსახურების პროვაიდერს მოსთხოვოს არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელება, თუ არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული ოპერაციის თანხით ანგარიშის დადებეტებიდან არ გასულა 13 თვეზე მეტი და მომხმარებელმა არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის აღმოჩენიდან გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე შეატყობინა პროვაიდერს ამგვარი ოპერაციის შესახებ, რაც წარმოშობს გადამხდელის მოთხოვნის უფლებას, მათ შორის, ამ კანონის 31-ე და 31^1 მუხლებით

გათვალისწინებული მოთხოვნის უფლებას.

2. თუ ოპერაციაში მონაწილეობდა გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერი, მომხმარებელი უფლებამოსილია არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელება მოსთხოვოს ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის 31-ე მუხლისა და 33-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების დებულებების დაცვით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომხმარებლის მოთხოვნის უფლება არ იზღუდება იმავე პუნქტში მითითებული ვადით, თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერმა შეთანხმებული ფორმით მომხმარებელს არ მიაწოდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული გადახდის ოპერაციის შესახებ ინფორმაცია ან/და შეთანხმებული ფორმით არ უზრუნველყო ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

4. თუ მომხმარებელი განაცხადებს, რომ გადახდის ოპერაცია არაავტორიზებულია ან არასწორად არის განხორციელებული, პროვაიდერს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ გადახდის ოპერაცია იყო ავთენტიფიცირებული, აგრეთვე სწორად იყო განხორციელებული, ჩაწერილი და ანგარიშებზე აღრიცხული და ტექნიკურ გაუმართაობას ან პროვაიდერის მომსახურების სხვა დეფექტს ოპერაციაზე გავლენა არ მოუხდენია.

5. თუ გადახდის ოპერაცია ინიციირებულია გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერის საშუალებით, მაშინ მას ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ მისი ზეგავლენის სფეროში ინიციირებული გადახდის ოპერაცია იყო ავთენტიფიცირებული და სწორად ჩაწერილი და მის საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ გაუმართაობას ან სხვა დეფექტს ოპერაციაზე გავლენა არ მოუხდენია.

6. თუ მომხმარებელმა არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული გადახდის ოპერაციის შესახებ ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ განაცხადა, ეს არ ათავისუფლებს პროვაიდერს ვალდებულებისგან, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმაროს მომხმარებელს არაავტორიზებული ან არასწორად გადარიცხული თანხის დაბრუნებაში.

7. თუ მომხმარებელი განაცხადებს, რომ გადახდის ოპერაცია არაავტორიზებულია, საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან ან გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერთან არსებული ინსტრუმენტის გამოყენების და ანგარიშზე წვდომის ჩანაწერი არ შეიძლება ყველა შემთხვევაში ჩაითვალოს იმის საკმარის მტკიცებულებად, რომ გადახდის ოპერაცია გადამხდელის მიერ იყო ავტორიზებული ან გადამხდელმა განახორციელა თაღლითური ქმედება ან ამ კანონის 30-ე მუხლით განსაზღვრული ერთი ან ერთზე მეტი ვალდებულება დაარღვია განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ან გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია წარადგინოს მტკიცებულება, რომლითაც ის ამყარებს ეჭვს, რომ მომხმარებლის მხრიდან ადგილი ჰქონდა თაღლითურ ქმედებას, განზრახვას ან უხეშ გაუფრთხილებლობას. ეს პუნქტი არ მოქმედებს ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

8. თუ საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებული არაავტორიზებული ტრანსსასაზღვრო გადახდის ოპერაციის თანხით ანგარიშის დადებეტების შემთხვევაში ასეთი ოპერაციის აღმოჩენიდან გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, მაგრამ არაუგვიანეს დადებეტებიდან 75 დღისა, საგადახდო მომსახურების მომხმარებელმა პროვაიდერს აღნიშნულის შესახებ შეატყობინა, ამ შემთხვევაში არ მოქმედებს ამ მუხლის მე-7 პუნქტი და პროვაიდერი ვალდებულია უზრუნველყოს მომხმარებლისთვის თანხის ანაზღაურება, თუკი არაავტორიზებული ოპერაციის შესრულებასთან დაკავშირებით ცალსახად იკვეთება მესამე პირის თაღლითობა ან/და მომხმარებლის მიერ შეტყობინებული შემთხვევა შინაარსობრივად ან/და გარემოებებით მსგავსია პროვაიდერის მიერ ბოლო 180 დღის განმავლობაში განხილული იმ შემთხვევისა/შემთხვევებისა, რომლის/რომელთა ფარგლებშიც მომხმარებლებს აუნაზღაურდათ არაავტორიზებული ოპერაციის თანხა. ამ პუნქტის მიზნებისთვის საბარათე ინსტრუმენტით შესრულებული ტრანსსასაზღვრო გადახდის ოპერაცია მოიცავს ისეთ ოპერაციას, რომელიც განხორციელდა საქართველოში გამოშვებული საბარათე ინსტრუმენტის გამოყენებით და მიმღების პროვაიდერი (ექვაირერი) უცხოურ საგადახდო მომსახურების პროვაიდერს წარმოადგენს. ამ პუნქტით გათვალისწინებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ვალდებულება არ მოქმედებს, თუ საგადახდო მომსახურების მომხმარებელმა პროვაიდერს მიმართა საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებული არაავტორიზებული ტრანსსასაზღვრო გადახდის ოპერაციის თანხით ანგარიშის დადებეტებიდან 75 დღის შემდეგ.

9. საგადახდო მომსახურების პროვაიდერსა და საგადახდო მომსახურების მომხმარებელს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენებასთან ან/და ანგარიშზე წვდომასთან დაკავშირებული პირობები/დებულებები, რომლებიც ზრდის მომხმარებლის მტკიცების ტვირთს ან/და ამცირებს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მტკიცების ტვირთს, აგრეთვე არაპირდაპირ იწვევს ამგვარ შედეგს, ბათილია. ასევე გარკვეულ შემთხვევებში, მათ შორის, თუ საგადახდო ინსტრუმენტი ფიზიკურად არ მონაწილეობს გადახდის ოპერაციაში ან/და ანგარიშზე წვდომისას, საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენების და ანგარიშზე წვდომის ჩანაწერი არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარის მტკიცებულებად.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 33. მომხმარებლისა და პროვაიდერის ვალდებულებები არაავტორიზებულ გადახდის ოპერაციასთან

დაკავშირებით

1. თუ დაცულია ამ კანონის 32-ე მუხლის პირველი–მე-3 პუნქტების დებულებები, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია გადამხდელს აუნაზღაუროს არაავტორიზებული გადახდის ოპერაციის თანხა ამ მუხლის შესაბამისად, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს იმ დღის მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე, როდესაც აღნიშნულის შესახებ პროვაიდერისთვის ცნობილი გახდა ან მან მიიღო შეტყობინება. საგადახდო ანგარიშის არსებობის შემთხვევაში გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია აღადგინოს დადებეტებული საგადახდო ანგარიში იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იქნებოდა არაავტორიზებული ოპერაცია რომ არ შესრულებულიყო.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საგადახდო ანგარიშზე დაკრედიტებულ თანხაზე სადეპოზიტო სარგებლის თარიღი უნდა იყოს არაუგვიანეს ანგარიშის დადებეტების თარიღისა.

3. პროვაიდერს არ ეკისრება გადამხდელისთვის ანაზღაურების ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება, თუ მას აქვს მომხმარებლის მიერ თაღლითური ქმედების განხორციელების ან ამ კანონის 30-ე მუხლით განსაზღვრული ერთი ან ერთზე მეტი ვალდებულების განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევის შესახებ საფუძვლიანი ეჭვი.

4. თუ გადახდის ოპერაცია ინიციირებულია გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერის საშუალებით, ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია გადამხდელს აუნაზღაუროს არაავტორიზებული გადახდის ოპერაციის თანხა დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს იმ დღის მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე, როდესაც აღნიშნულის შესახებ ანგარიშის მომსახურე პროვაიდერისთვის ცნობილი გახდა ან მან მიიღო შეტყობინება. ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია აღადგინოს დადებეტებული საგადახდო ანგარიში იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იქნებოდა არაავტორიზებული ოპერაცია რომ არ შესრულებულიყო, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5. თუ არაავტორიზებული გადახდის ოპერაციისთვის პასუხისმგებელია გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერი, ის ვალდებულია ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, ამ უკანასკნელის მოთხოვნის საფუძველზე, დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს გადამხდელისთვის ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ანაზღაურებული თანხა, აგრეთვე ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზიანი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერს, ამ კანონის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერის წინაშე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

6. გადამხდელი პასუხისმგებელია მოპარული ან დაკარგული საგადახდო ინსტრუმენტით ან მისი უკანონო მითვისებით ან უკანონო გამოყენებით გამოწვეული, არაავტორიზებული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის არაუმეტეს 100 ლარისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესრულებულია შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთი:

ა) საგადახდო ინსტრუმენტის მოპარვის, დაკარგვის, უკანონო მითვისების მომხმარებლის მიერ აღმოჩენა შეუძლებელი იყო ოპერაციის განხორციელებამდე;

ბ) დაკარგვა გამოწვეული იყო საგადახდო მომსახურების პროვაიდერის, მისი აგენტის ან/და აუთსორსინგული კომპანიის მოქმედებით ან უმოქმედობით.

7. თუ მომხმარებელი პასუხისმგებელია ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად არაუმეტეს 100 ლარისა, ანგარიშის აღდგენა უნდა მოხდეს იმავე პუნქტის შესაბამისად პროვაიდერის მიერ განსაზღვრული ოდენობის თანხის გამოკლებით.

8. გადამხდელი სრულად აგებს პასუხს არაავტორიზებული გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებული იმ ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია მისი თაღლითური ქმედებით, აგრეთვე მის მიერ ამ კანონის 30-ე მუხლით განსაზღვრული ერთი ან ერთზე მეტი ვალდებულების განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობით. ამ შემთხვევაში არ მოქმედებს ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხა.

9. თუ გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი არ ითხოვს მომხმარებლის ძლიერ ავთენტიფიკაციას, გადამხდელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, მათ შორის, ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან განახორციელა თაღლითური ქმედება. თუ მიმღები ან მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერი არ უზრუნველყოფს მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის მიღებას, ის ვალდებულია გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს აუნაზღაუროს შესაბამისი თანხა.

10. ამ კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად პროვაიდერისთვის შეტყობინების შემდეგ, გადამხდელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა მოპარული ან დაკარგული საგადახდო ინსტრუმენტით ან მისი უკანონო მითვისებით ან უკანონო გამოყენებით დამდგარი ნებისმიერი ზიანისთვის, თუ ეს ზიანი გამოწვეული არ არის გადამხდელის თაღლითური ქმედებით.

11. თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერი არ უზრუნველყოფს ამ კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შეტყობინების ნებისმიერ დროს მიღებას, გადამხდელი არ არის პასუხისმგებელი მოპარული ან დაკარგული საგადახდო ინსტრუმენტით ან მისი უკანონო მითვისებით ან უკანონო გამოყენებით დამდგარი ნებისმიერი ზიანისთვის, თუკი ეს ზიანი გამოწვეული არ არის გადამხდელის თაღლითური ქმედებით.

მუხლი 33[1]. გადახდის ოპერაცია, როდესაც გადახდის თანხა წინასწარ ცნობილი არ არის

1. თუ საბარათე ოპერაცია ინიციირებულია მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით და გადახდის ოპერაციის შესრულებაზე გადამხდელის მიერ თანხმობის გაცემის მომენტში ცნობილი არ არის გადახდის ოპერაციის ზუსტი თანხა, გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია გადამხდელის საგადახდო ანგარიშზე დაბლოკოს ფულადი სახსრები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელს დასაბლოკი თანხის განსაზღვრულ ოდენობაზე აქვს თანხმობა გაცემული.

2. გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია განბლოკოს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დაბლოკილი თანხა გადახდის ოპერაციის თანხის ზუსტი ოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდგომ გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე და არაუგვიანეს საგადახდო დავალების მიღებისთანავე.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 33[2]. დამატებითი ანაზღაურება

ამ თავით გათვალისწინებული ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება არ ზღუდავს საგადახდო მომსახურების პროვაიდერსა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულებიდან ან/და საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე სხვა ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 33[3]. მიუღებელი სადეპოზიტო სარგებლის გამოთვლა და რეგრესის უფლება

1. ამ კანონის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 31[1] მუხლის მე-7 პუნქტის, 31[2] მუხლის პირველი პუნქტისა და 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისთვის მიუღებელი სადეპოზიტო სარგებლის პროცენტი უნდა იყოს სულ მცირე რეფინანსირების განაკვეთის პროცენტის იდენტური ან მასზე მეტი, ასეთი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში.

2. თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ამ კანონის 31-ე, 31[1], 31[2] და 33-ე მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა გამოწვეულია გადახდის ოპერაციის განხორციელების პროცესში მონაწილე სხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერის/პროვაიდერების და სხვა შუამავალი პირების ქმედებით, იგი უფლებამოსილია მოსთხოვოს შესაბამის პირებს, ხოლო ეს პირები ვალდებული არიან აუნაზღაურონ მას შესაბამისი თანხა ან/და შესაბამისი ზიანი, რომელიც პროვაიდერმა გადაიხადა იმავე მუხლებიდან გამომდინარე. აღნიშნული მოიცავს ანაზღაურების ვალდებულებას იმ შემთხვევაშიც, როდესაც რომელიმე საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვერ უზრუნველყოფს მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის მხარდაჭერას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების გარდა, სხვა ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შეიძლება გათვალისწინებული იყოს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 34. მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით ინიციირებული ავტორიზებული გადახდის ოპერაციის თანხის ანაზღაურება

1. გადამხდელი უფლებამოსილია საგადახდო მომსახურების პროვაიდერისგან მიიღოს ანაზღაურება შესრულებულ ავტორიზებულ გადახდის ოპერაციაზე, რომელიც ინიციირებული იყო მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) ავტორიზაციის გაცემისას ავტორიზაცია არ განსაზღვრავდა გადახდის ოპერაციის ზუსტ თანხას;

ბ) გადახდის ოპერაციის თანხა აჭარბებს იმ ოდენობას, რომლის გონივრული მოლოდინიც გადამხდელს შეეძლო ჰქონოდა წინა ხარჯვითი თავისებურებიდან, ჩარჩოხელშეკრულების პირობებიდან და არსებული შემთხვევის შესაბამისი გარემოებებიდან გამომდინარე.

2. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მოთხოვნით, გადამხდელი ვალდებულია დაამტკიცოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობების არსებობა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ანაზღაურება უნდა განხორციელდეს შესრულებული გადახდის ოპერაციის სრული თანხის ოდენობით. ანაზღაურებულ თანხაზე სარგებლის თარიღი უნდა იყოს არაუგვიანეს თანხის დადებეტების თარიღისა.

4. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაადგინოს პირდაპირი დებეტის წესი, რომლის შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ უფლებასთან ერთად, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში მოთხოვნის შემთხვევაში მომხმარებელს ექნება ანაზღაურების უპირობო უფლება. პირდაპირი დებეტის წესი არ უნდა ზღუდავდეს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებას.

5. დაუშვებელია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის გადამხდელის მიერ ვალუტის გადაცვლასთან დაკავშირებული საფუძვლების მითითება, თუ გამოყენებულ იქნა თავის პროვაიდერთან შეთანხმებული გაცვლითი კურსი.

6. გადამხდელსა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს შორის დადებული ჩარჩოხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ გადამხდელს არ აქვს ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუ

დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) გადამხდელმა უშუალოდ თავის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს მისცა თანხმობა გადახდის ოპერაციის შესრულებაზე;

ბ) მომავალი გადახდის ოპერაციის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესახებ ინფორმაცია შეთანხმებული ფორმით გადამხდელისთვის მიწოდებულია ან მასთან შეთანხმებული ფორმით სხვაგვარად ხელმისაწვდომია საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ან მიმღების მიერ ამ გადახდის ვალდებულების თარიღამდე არანაკლებ 4 კვირით ადრე.

7. გადამხდელი უფლებამოსილია ამ მუხლის შესაბამისად მოითხოვოს მიმღების მიერ ან მისი საშუალებით ინიციირებული ავტორიზებული გადახდის ოპერაციის თანხის ანაზღაურება საგადახდო ანგარიშის დადებეტებიდან არაუგვიანეს 8 კვირის განმავლობაში.

8. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია გადამხდელისგან ანაზღაურების მოთხოვნის მიღებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში აუნაზღაუროს მას გადახდის ოპერაციის სრული თანხა ან წარუდგინოს დასაბუთებული უარი. უარის შემთხვევაში პროვაიდერი ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიისა და მისთვის მიმართვის უფლების შესახებ. ამ პუნქტით განსაზღვრული უარი დაუშვებელია ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 34[1]. ინციდენტების შეტყობინება

1. მნიშვნელოვანი საოპერაციო ან/და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტის არსებობის შემთხვევაში საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

2. თუ ინციდენტს ჰქონდა ან/და შესაძლოა ჰქონდეს გავლენა საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მომხმარებლების ფინანსურ ინტერესებზე, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე შეატყობინოს თავის მომხმარებლებს აღნიშნული ინციდენტისა და ამ ინციდენტის უარყოფითი შედეგების შესამცირებლად მათ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შეტყობინების მიღების შემდგომ საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საფინანსო სისტემის უსაფრთხოების დასაცავად.

4. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით მიაწოდოს მას გადახდის სხვადასხვა საშუალებასთან დაკავშირებით თაღლითური ქმედებების შესახებ სტატისტიკური და სხვა მონაცემები.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

თავი VI. (ამოღებულია)

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5681 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 35. (ამოღებულია)

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5681 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 36. (ამოღებულია)

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5665 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5681 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 37. (ამოღებულია)

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5665 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5681 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 38. (ამოღებულია)

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5665 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5681 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 39. (ამოღებულია)

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5681 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 40. (ამოღებულია)
საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5681 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 41. (ამოღებულია)
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.

თავი VI[1]. საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის საჩივრით მიმართვა

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 41[1]. საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის საჩივრით მიმართვა და საჩივრის განხილვა

1. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია ჰქონდეს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონიდან, ამ კანონიდან ან/და მათ საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან წარმოშობილ უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საგადახდო მომსახურების მომხმარებლების საჩივრების მიღების, განხილვისა და გადაწყვეტის ადეკვატური და ეფექტური პროცედურები. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოს უსასყიდლოდ.

2. მომხმარებელი უფლებამოსილია საგადახდო მომსახურების პროვაიდერს საჩივარი წარუდგინოს ზეპირი ან წერილობითი (მატერიალური ან ელექტრონული) ფორმით ან მათ შორის შესაბამისი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში სხვა ხანგრძლივი მატარებლით. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია განახორციელოს მომხმარებელთა საჩივრებზე რეაგირებასთან დაკავშირებული საქმიანობის, მათ შორის, საჩივრების აღრიცხვისა და ანალიზის, მონიტორინგი.

3. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია მომხმარებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად წარდგენილი საჩივრის მიღება მისი მიღების დღეს დაუდასტუროს მატერიალური ფორმით ან მომხმარებელთან შეთანხმებით სხვა ხანგრძლივი მატარებლით. საჩივრის ზეპირი ფორმით წარდგენის შემთხვევაში პროვაიდერი ვალდებულია მომხმარებელს შესთავაზოს წერილობითი საჩივრის წარდგენა ან მომხმარებლის თანხმობით განახორციელოს საჩივრის აუდიოჩაწერა. საჩივრის მიღების დღედ ითვლება მომხმარებლის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის საჩივრის წარდგენის სამუშაო დღე. თუ საჩივარი წარდგენილ იქნა არასამუშაო დღეს, მიღების დღედ ითვლება მომდევნო სამუშაო დღე. საჩივრის მიღების დადასტურებისას საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

4. საჩივრის შესახებ საგადახდო მომსახურების პროვაიდერის გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს საჩივარში აღნიშნულ ყველა საკითხს. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია მომხმარებლის საჩივარი განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს საჩივრის მიღებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა. თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აღნიშნულ ვადაში ვერ ხერხდება საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია მომხმარებელს აცნობოს დაგვიანების დასაბუთებული მიზეზი, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა. საჩივარზე გადაწყვეტილების მიღების ვადა არ უნდა აღემატებოდეს საჩივრის მიღებიდან 35 სამუშაო დღეს. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია მიღებული გადაწყვეტილება მომხმარებელს აცნობოს დაუყოვნებლივ მომხმარებლის მიერ არჩეული ფორმით (მატერიალური ან ელექტრონული ფორმით).

5. პროვაიდერი ვალდებულია გადაწყვეტილებაში მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის საჩივრით მიმართვის დღიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში მიმართვის შესაძლებლობის შესახებ. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია გადაწყვეტილებაში მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, რომ დავების განმხილველი კომისია დავას განიხილავს უსასყიდლოდ.

6. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია თავის ვებგვერდზე თვალსაჩინო ფორმით განათავსოს, აგრეთვე მას და მომხმარებელს შორის გაფორმებულ ჩარჩოხელშეკრულებაში გაითვალისწინოს ინფორმაცია საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიის შესახებ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

თავი VI[2]. დავების განმხილველი კომისია

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 41[2]. დავების განმხილველი კომისიისთვის მიმართვის უფლება

1. საგადახდო მომსახურების მომხმარებელ ფიზიკურ პირს, ხოლო მომხმარებელ იურიდიულ პირსა და იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ორგანიზაციულ წარმონაქმნს იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებენ საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით დადგენილ კრიტერიუმებს, უფლება აქვთ, საგადახდო მომსახურების პროვაიდერის წინააღმდეგ საჩივრით მიმართონ საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას (შემდგომ – კომისია) მხოლოდ საგადახდო მომსახურების

პროვაიდერისთვის წარდგენილი საჩივრის დადგენილ ვადაში დაუკმაყოფილებლობის (მათ შორის, პასუხის გაუცემლობის) ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული მომხმარებელი უფლებამოსილია კომისიას მიმართოს, თუ საჩივრით გათვალისწინებული დავის საგნის ღირებულება 50 000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში 50 000 ლარის ეკვივალენტს არ აღემატება. მომხმარებელს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს კომისიისთვის მიმართვის გარეშე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მომხმარებელი უფლებამოსილია კომისიას მიმართოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის საჩივრით მიმართვის დღიდან არაუგვიანეს 6 თვისა.

3. მხარე უფლებამოსილია დაასაბუთოს თავისი პოზიცია და კომისიას წარუდგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. კომისია უფლებამოსილია თავისი ინიციატივით დავის მხარეს/მხარეებს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების (მათ შორის, კონფიდენციალური) წარდგენა. კომისიას აგრეთვე უფლება აქვს, თავისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაცია ან/და მტკიცებულება (მათ შორის, კონფიდენციალური) მოსთხოვოს ნებისმიერ ფიზიკურ პირს ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირს, აგრეთვე იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ორგანიზაციულ წარმონაქმნს. ინფორმაციის/ მტკიცებულებების წარდგენის ვადა განისაზღვრება კომისიის მიერ, არანაკლებ 5 სამუშაო დღისა. შესაბამისი სუბიექტის დასაბუთებული მოთხოვნითა და კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია აღნიშნული ვადის გაგრძელება. ამ პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტები ვალდებული არიან კომისიას უპასუხონ შესაბამის ვადაში და მიაწოდონ მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და მტკიცებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების მოთხოვნა აჩერებს დავის გადაწყვეტისთვის ამ კანონის 41^9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინებას. ვადის დინება გაგრძელდება მოთხოვნილი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარდგენის შემდეგ ან ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარდგენისთვის დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 41^3. კომისიისთვის ინფორმაციის/მტკიცებულების წარუდგენლობა

1. ამ კანონის 41^2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე კომისიის მოთხოვნის შესაბამისად ინფორმაციის/მტკიცებულების დადგენილ ვადაში წარუდგენლობის, არასწორად ან არასრულყოფილად წარდგენის თითოეულ შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევი, გარდა მომხმარებლისა (მომჩივნისა), შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დააჯარიმოს 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო იმავე ინფორმაციის/მტკიცებულების მიმართ დარღვევის განმეორებით ან მრავალჯერადად ჩადენის შემთხვევაში – 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეულ ფაქტზე.

2. კომისია დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეგიურად. კომისიის გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე.

3. ფულადი ჯარიმების დაკისრების შესახებ კომისიის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაშია მისი გაცნობისთანავე. ფულადი ჯარიმა გადახდილი უნდა იქნეს დაჯარიმების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისთვის ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

4. კომისია უფლებამოსილია დაკისრებული ჯარიმის აღსრულება უზრუნველყოს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული გასაჩივრების ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, რისთვისაც კომისია გასცემს სააღსრულებო ფურცელს. ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ კომისიის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ აღსრულდება, თუ იგი აღსასრულებლად მიქცეული არ იყო გამოცემიდან 6 თვის ვადაში. ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ კომისიის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისას კრედიტორი არის სახელმწიფო. ფულადი ჯარიმის თანხა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართება.

5. თუ შესაბამისი პირისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ჩაბარება ვერ ხერხდება, კომისიას უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება მისი საჯაროდ გავრცელების შესახებ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯაროდ ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებით. საჯარო შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მისი საჯაროდ გავრცელებიდან მე-15 სამუშაო დღეს.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 41^4. დავების განმხილველი კომისია

1. კომისია შედგება 5 წევრისგან, რომელთაგან არაუმეტეს 2 წევრისა შესაძლებელია იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომელი, ხოლო არანაკლებ 3 წევრი უნდა იყოს დამოუკიდებელი ფიზიკური პირი. კომისიის დამოუკიდებელი წევრი იმავდროულად არ უნდა იყოს დასაქმებული საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში ან საგადახდო მომსახურების პროვაიდერში ან იმ ჯგუფში შემავალ იურიდიულ პირში, რომელშიც შედის საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ან საგადახდო მომსახურების პროვაიდერი. კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე.

2. კომისიის წევრებს, მათ შორის, კომისიის თავმჯდომარეს, 5 წლის ვადით ნიშნავს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო.

3. კომისიის წევრად შეიძლება დაინიშნოს ნასამართლობის არმქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და საგადახდო მომსახურების სფეროში მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება. კომისიის სულ მცირე 1 წევრს უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება და საგადახდო მომსახურების სფეროში ან/და საფინანსო სექტორში მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება.

4. კომისიის წევრების, მათ შორის, კომისიის თავმჯდომარის, შერჩევის, წარდგინების, დანიშვნისა და გათავისუფლების წესი დგინდება საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს სამართლებრივი აქტით.

5. კომისიის ფუნქციების განხორციელების ხელშესაწყობად კომისიას ჰყავს აპარატი. კომისიის აპარატის წევრები არიან საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლები. კომისიის აპარატი უზრუნველყოფს კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ და ტექნიკურ მხარდაჭერას, მათ შორის, კომისიისთვის წარდგენილი საჩივრების განსახილველად მომზადებას, დავის მხარეებისთვის დავის განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას და კომისიის გადაწყვეტილების პროექტების მომზადების ტექნიკურ ხელშეწყობას.

6. კომისიის წევრის, რომელიც იმავდროულად საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომელი არ არის, შრომის ანაზღაურება არ უნდა იყოს საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებულ საშუალო ხელფასზე ნაკლები. ამ პუნქტით გათვალისწინებული კომისიის წევრის შრომის ანაზღაურების ოდენობასა და ანაზღაურების წესს ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო.

7. კომისიის წევრების შრომის ანაზღაურება ფინანსდება საქართველოს ეროვნული ბანკის ბიუჯეტიდან. კომისიას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისთვის საჭირო შენობა-ნაგებობებით, ტექნიკური საშუალებებით, ფინანსური სახსრებითა და სხვა ქონებით უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკი.

8. კომისიის წევრობა არ ითვლება საჯარო სამსახურად. კომისიის წევრს უფლება აქვს, ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 41[5]. საჩივრის წარდგენა

1. საგადახდო მომსახურების მომხმარებელს უფლება აქვს, საჩივრით მიმართოს კომისიას ამ კანონის 41[2] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილ ვადაში.

2. საჩივარი კომისიას შეიძლება წარედგინოს წერილობითი (მატერიალური ან ელექტრონული) ფორმით. საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და წარსადგენი სხვა დოკუმენტები/ინფორმაცია განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს სამართლებრივი აქტით.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 41[6]. საჩივრის წარმოებაში მიღება

1. კომისია საჩივარს წარმოებაში იღებს, თუ საჩივარი და მასზე დართული დოკუმენტაცია/ინფორმაცია აკმაყოფილებს ამ კანონის 41[5] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტის მოთხოვნებს.

2. კომისია საჩივარს წარმოებაში აგრეთვე არ იღებს, თუ დაკმაყოფილებულია ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) არსებობს კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე, იმავე საფუძვლით და არ არსებობს ახლად აღმოჩენილი გარემოება, ან კომისიაში დავა დასრულდა მორიგებით;

ბ) არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

გ) სასამართლოს წარმოებაშია საქმეზე დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე, იმავე საფუძვლით ან არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის, ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

დ) არბიტრაჟის წარმოებაშია დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე, იმავე საფუძვლით ან არსებობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან დავა დასრულდა მხარეთა მორიგებით;

ე) გასულია ამ კანონის 41[2] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადა;

ვ) საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ საჩივრის განხილვა შეწყდა მომხმარებლის მოთხოვნით, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებით;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3. საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ გადაწყვეტილებას კომისია იღებს საჩივრის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

4. თუ კომისიაში წარდგენილი საჩივარი და თანდართული დოკუმენტაცია/ინფორმაცია არ აკმაყოფილებს ამ კანონის 41[5] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტის მოთხოვნებს, კომისია მომხმარებელს აღნიშნულის შესახებ წერილობითი (მატერიალური ან ელექტრონული) ფორმით აცნობებს და განუსაზღვრავს 7 კალენდარულ დღეს საჩივარში არსებული ხარვეზის (ხარვეზების) გამოსასწორებლად. კომისია უფლებამოსილია აღნიშნული ვადის ამოწურვამდე მომხმარებლის მიერ ობიექტურად დასაბუთებული მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში ხარვეზის (ხარვეზების) გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადა გააგრძელოს დამატებით არაუმეტეს 7 კალენდარული დღით. თუ მომხმარებელმა ხარვეზი (ხარვეზები) არ გამოასწორა, კომისია საჩივარს წარმოებაში არ მიიღებს.

მუხლი 41[7]. კომისიის წევრის აცილება

1. მხარეებს უფლება აქვთ, მოტივირებული შუამდგომლობით მოითხოვონ კომისიის შემადგენლობიდან ნებისმიერი წევრის აცილება.

2. აცილების შესახებ შუამდგომლობას კომისია განიხილავს იმ წევრის მონაწილეობის გარეშე, რომლის აცილების საკითხიც განიხილება.

3. აცილების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში აცილებული წევრი არ ესწრება დავის განხილვას და არ მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

4. კომისიის წევრი არ შეიძლება მონაწილეობდეს დავის განხილვაში, თუ იგი:

ა) საქმეში დაინტერესებული მხარეა;

ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;

დ) არის/იყო ექსპერტი საჩივრით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით;

ე) შრომით ურთიერთობაშია მხარესთან (მხარეებთან).

5. ამ მუხლის მიზნებისთვის ნათესავად ჩაითვლებიან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით გათვალისწინებული პირები.

6. კომისიის წევრი ვალდებულია კომისიას აცნობოს აცილების საფუძვლების შესახებ და მოითხოვოს თვითაცილება. თვითაცილების თაობაზე განცხადებას კომისია განიხილავს იმ წევრის მონაწილეობის გარეშე, რომლის თვითაცილების საკითხიც განიხილება.

7. თუ კომისიის წევრის აცილების/თვითაცილების შედეგად კონკრეტული დავის განხილვისას წევრთა საკმარისი რაოდენობა არ რჩება, კომისია უფლებამოსილია დავა განიხილოს წევრთა რაოდენობის მიუხედავად. ასეთ შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ კანონის 41[9] მუხლის მე-3 პუნქტი.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 41[8]. დავის განხილვა

1. კომისია დავის განხილვას იწყებს საჩივრის წარმოებაში მიღებით.

2. კომისია დავას განიხილავს მხოლოდ საჩივრით გათვალისწინებული მოთხოვნის ფარგლებში. როგორც წესი, დავა განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დავის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ.

3. კომისია უფლებამოსილია დავა განიხილოს, აგრეთვე მხარესთან უზრუნველყოს ზეპირი მოსმენა დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 41[9]. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება და დავის განხილვის შეწყვეტა

1. კომისია დავას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის წარმოებაში მიღებიდან 90 კალენდარული დღის ვადაში. საჩივრის შინაარსისა და სპეციფიკის, აგრეთვე დავის მსვლელობისა და მოსაკვლევი საკითხის გათვალისწინებით, კომისია უფლებამოსილია ვადა გააგრძელოს არაუმეტეს 30 კალენდარული დღით. კომისია აღნიშნულის შესახებ, მიზეზის მითითებით, ატყობინებს მხარეებს.

2. კომისია გადაწყვეტილებას იღებს კოლეგიურად, განხილვაში მონაწილე წევრთა უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს კომისიის თავმჯდომარეს.

3. კომისია უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს იმ შემთხვევაში, თუ დავის განხილვას ესწრება სულ მცირე 3 წევრი.

4. კომისიის გადაწყვეტილებით მომხმარებლის საჩივარი შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს ან არ დაკმაყოფილდეს. დავაში მონაწილე მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში კომისია იღებს გადაწყვეტილებას დავის მორიგებით დასრულების შესახებ. კომისიის გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილების ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის შესასრულებლად სავალდებულოა. კომისიის გადაწყვეტილება დავის მორიგებით დასრულების შესახებ ორივე მხარისთვის შესასრულებლად სავალდებულოა.

5. საგადახდო მომსახურების მომხმარებელი უფლებამოსილია კომისიაში დავის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვოს დავის განხილვის შეწყვეტა.

6. კომისია წყვეტს დავის განხილვას:

ა) თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერი აღიარებს მის მიმართ ყველა მოთხოვნას;

ბ) თუ მომხმარებელი ითხოვს დავის განხილვის შეწყვეტას;

გ) თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

დ) თუ სასამართლო წარმოებაშია დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე, იმავე საფუძვლით ან არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის, ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

ე) თუ არბიტრაჟის წარმოებაშია დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე, იმავე საფუძვლით ან არსებობს

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან დავა დასრულდა მხარეთა მორიგებით;

ვ) თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაციის პროცესი დასრულდა;

ზ) თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ საჩივრის განხილვა შეწყდა მომხმარებლის მოთხოვნით, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებით;

თ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7. კომისიის გადაწყვეტილება მხარეებს ეგზავნებათ ელექტრონულად ან/და, შესაბამისი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, მატერიალურად.

8. კომისიის გადაწყვეტილება საჩივრდება მისი ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. კომისიის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას.

საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

თავი VII. სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ზედამხედველობა

მუხლი 42. სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საქმიანობის რეგულირება და ზედამხედველობა

1. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საქმიანობის რეგულირება და ზედამხედველობა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამოსცეს საგადახდო სქემების, საგადახდო მომსახურების ცალკეული სახეებისა და საგადახდო ინსტრუმენტების, მათ შორის, ელექტრონული ფულის ინსტრუმენტის, აგრეთვე მათთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი ნორმატიული აქტები.

2. საზედამხედველო ფუნქციების განსახორციელებლად საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია:

ა) გამოსცეს ნორმატიული აქტები;

ბ) სისტემის ოპერატორსა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს დაუდგინოს მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია სისტემის წესებთან, პროცედურებთან, სტანდარტებთან, სისტემის მონაწილეთა უფლებებთან და მოვალეობებთან, სისტემის უსაფრთხოებასთან და ტექნიკურ უზრუნველყოფასთან და სისტემის ოპერირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან;

გ) მნიშვნელოვანი სისტემის ოპერატორსა და საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვან პროვაიდერს დაუდგინოს დამატებითი მოთხოვნები, ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე;

დ) გარკვეული ვადით ან/და გარკვეული პირობებით გაათავისუფლოს მნიშვნელოვანი სისტემის ოპერატორი და საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერი ამ კანონითა და თავის მიერ დადგენილი ნორმების დაცვისგან;

ე) მნიშვნელოვანი სისტემის ოპერატორსა და საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვან პროვაიდერს წერილობითი მითითებით მოსთხოვოს გარკვეული ქმედების განხორციელება ან მისგან თავის შეკავება;

ვ) განსაზღვროს საგადახდო სისტემის ზედამხედველობის წესი, მათ შორის, საგადახდო სისტემის კატეგორიიდან გამომდინარე სისტემის ოპერატორის მიერ შესასრულებელი მოთხოვნები;

ზ) თავის მიერ დადგენილი წესით განსაზღვროს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა და გაანგარიშების წესი, აგრეთვე მოთხოვნები მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის კაპიტალის და აქტივების მიმართ. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საზედამხედველო კაპიტალის განსაზღვრის მიზნებისთვის გააფართოოს ამ კანონის მე-2 მუხლის „ჰ[32]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჯგუფის დეფინიცია.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 42[1]. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ სათანადო პროცედურების განხორციელების ვალდებულება

თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერი არის „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შესაბამისი შეთანხმებით განსაზღვრული ანგარიშმგები ფინანსური ინსტიტუტი, იგი ვალდებულია აღნიშნული შეთანხმებით განსაზღვრული სათანადო პროცედურები განახორციელოს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული „ანგარიშგების საერთო სტანდარტის“ თანახმად.

საქართველოს 2022 წლის 30 ნოემბრის კანონი №2143 – ვებგვერდი, 15.12.2022წ.

მუხლი 43. ინფორმაციის შენახვა და კონფიდენციალურობა

1. არავის არა აქვს უფლება, დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას, გაავრცელოს ან

პირადი მიზნისთვის გამოიყენოს ასეთი ინფორმაცია. ამგვარი ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოთ მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკსა და კომისიას მათი კომპეტენციის ფარგლებში.

2. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ საგადახდო მომსახურების მომხმარებლის ფულადი სახსრებისა და ელექტრონული ფულის, აგრეთვე განხორციელებული ოპერაციის (მათ შორის, ოპერაციის განხორციელების მცდელობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიეცეთ თავად საგადახდო მომსახურების მომხმარებელს და მის სათანადოდ უფლებამოსილ წარმომადგენელს, შესაბამისი გარიგების მხარეს, საგადასახადო ორგანოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილების, „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების, „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმების (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემოწმების განხორციელებისას – პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან აღასრულონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აღსრულების ქვემდებარე აქტები, მათი აღსრულების პროცესში. სხვა პირებს ეს ინფორმაცია მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე მიეცემათ.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტი არ ზღუდავს პროვაიდერს, გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს შესაბამის საგადახდო სისტემას, ოპერატორსა და შესაბამის პროვაიდერს. საგადახდო სისტემის ფუნქციონირების შედეგად ოპერატორისათვის გადაცემული ტრანსფერორდერით განსაზღვრული ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოს მხოლოდ შესაბამის მონაწილეს ან მის სათანადოდ უფლებამოსილ წარმომადგენელს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში შეიძლება მიეწოდოს იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან, აღასრულონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აღსრულების ქვემდებარე აქტები, მათი აღსრულების პროცესში. სხვა პირებს ეს ინფორმაცია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მიეწოდება.

5. სასამართლო, საგამოძიებო და საგადასახადო ორგანოებს ეკრძალებათ სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანამდე ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გადაცემა სხვა პირისა და ორგანოსთვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით, ასევე ამ ინფორმაციის საჯარო გამოსვლებში გამოყენება, გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

6. სისტემის ოპერატორი და საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებული არიან, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით უზრუნველყონ სათანადო უსაფრთხოების ზომების შემუშავება და გატარება.

7. სისტემის ოპერატორი და საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებული არიან, შეინახონ სათანადო ჩანაწერები და საბუთები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სისტემის ოპერატორი და საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებული არიან, მონაწილეების, მომხმარებლების და მათ მიერ ან მათ სასარგებლოდ განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია ელექტრონული ფორმით შეინახონ არანაკლებ 15 წლის განმავლობაში.

8. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია გადასცეს „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით განსაზღვრულ ამერიკის შეერთებული შტატების კომპეტენტურ ორგანოს, აგრეთვე „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმების (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე – იმ იურისდიქციების კომპეტენტურ უწყებებს, რომლებთანაც ამოქმედებულია აღნიშნული შეთანხმება.

საქართველოს 2015 წლის 12 ივნისის კანონი №3719 - ვებგვერდი, 24.06.2015წ.
საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2015 წლის 28 ოქტომბრის კანონი №4466 - ვებგვერდი, 11.11.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2018 წლის 21 ივლისის კანონი №3296 – ვებგვერდი, 09.08.2018წ.
საქართველოს 2018 წლის 27 დეკემბრის კანონი №4261 – ვებგვერდი, 29.12.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 8 მაისის კანონი №4600 – ვებგვერდი, 08.05.2019წ.
საქართველოს 2021 წლის 30 დეკემბრის კანონი №1335 – ვებგვერდი, 13.01.2022წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.
საქართველოს 2022 წლის 30 ნოემბრის კანონი №2143 – ვებგვერდი, 15.12.2022წ.

მუხლი 43[1]. (ამოღებულია)

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 44. მნიშვნელოვანი სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერის მიერ წარსადგენი ინფორმაცია

1. მნიშვნელოვანი სისტემის ოპერატორი და საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერი ვალდებული არიან, მნიშვნელოვანი სისტემის/საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერის სტატუსის მინიჭების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით გათვალისწინებული ინფორმაცია წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს.

2. მნიშვნელოვანი სისტემის ოპერატორის კაპიტალი მისი საქმიანობის არცერთ ეტაპზე არ უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ და გაანგარიშებულ კაპიტალის (მისი სახეობების მიხედვით) ოდენობაზე ნაკლები.

3. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მნიშვნელოვანი სისტემის ოპერატორსა და საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვან პროვაიდერს, აგრეთვე მნიშვნელოვანი სისტემის მონაწილეს მოსთხოვოს ანგარიშსწორების ანგარიშის საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნა.

4. (ამოღებულია - 23.12.2017, №1897).

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.

მუხლი 45. შემოწმება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ადგილზე ან/და დისტანციურად შეამოწმოს სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან ან/და მის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა, რისთვისაც მას უფლება აქვს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოითხოვოს და მიიღოს საქმისწარმოების დოკუმენტაცია, ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები, ჩანაწერები და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია.

2. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ადგილზე ან/და დისტანციურად შეამოწმოს მნიშვნელოვანი სისტემის მონაწილის სისტემაში დაშვებისა და მონაწილეობის სისტემის წესებთან და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.

მუხლი 46. სანქციები

1. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სანქციები, თუ სისტემის ოპერატორმა/საგადახდო მომსახურების პროვაიდერმა:

ა) დაარღვია ამ კანონის ერთ-ერთი დებულება ან საქართველოს ეროვნული ბანკის ნებისმიერი ნორმატივი, ინსტრუქცია, დებულება, წესი, დადგენილება, წერილობითი მითითება;

ბ) წარადგინა არასწორი ან არაზუსტი ინფორმაცია;

გ) დაარღვია „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები;

დ) განახორციელა ან ახორციელებს არაჯანსაღ ან საფრთხის შემქმნელ სამეწარმეო პრაქტიკას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დარღვევის გამოვლენისას საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, დამრღვევის მიმართ თანამიმდევრულად, ხოლო დარღვევის სერიოზულობიდან გამომდინარე – არათანამიმდევრულად გამოიყენოს შემდეგი სანქციები:

ა) გაუგზავნოს წერილობითი გაფრთხილება ან/და მოსთხოვოს, შეწყვიტოს და შემდგომ არ დაუშვას ესა თუ ის დარღვევა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში მიიღოს დარღვევის აღმოსაფხვრელად აუცილებელი ზომები;

ბ) დააკისროს ფულადი ჯარიმა თავის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;

გ) შეუწყვიტოს ან შეუზღუდოს აქტიური ოპერაციები, აუკრძალოს მოგების განაწილება, დივიდენდების დარიცხვა და გაცემა, შრომის ანაზღაურების გაზრდა, პრემიებისა და სხვა, მსგავსი ანაზღაურების გაცემა;

დ) ადმინისტრატორებს შეუჩეროს ხელმოწერის უფლებამოსილება, დააკისროს მათ ფულადი ჯარიმა, მოითხოვოს მათი თანამდებობიდან განთავისუფლება;

ე) მაკონტროლებელ პირს მოსთხოვოს კონტროლის გაუქმება ან შეზღუდვა საქართველოს ეროვნული ბანკისათვის საფინანსო ან სხვა ინფორმაციის მიუწოდებლობის ან სხვა დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში. ამასთანავე, უნდა მიეთითოს კონტროლის გაუქმების ან შეზღუდვის პირობები და ვადები, რომლებსაც საქართველოს ეროვნული ბანკი საჭიროდ მიიჩნევს არსებული გარემოებიდან გამომდინარე;

ვ) გაუუქმოს რეგისტრაცია.

3. ამ მუხლის შესაბამისად დაკისრებული ფულადი ჯარიმის თანხა მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.
საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 30 ოქტომბრის კანონი №5236 – ვებგვერდი, 30.10.2019წ.

მუხლი 47. სისტემების ოპერატორებისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების რეესტრი

საქართველოს ეროვნული ბანკი აწარმოებს სისტემების ოპერატორებისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების რეესტრს და მას თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.

მუხლი 48. სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ვალდებულებები

სისტემის ოპერატორი და საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებული არიან, საქართველოს ეროვნულ ბანკს, აგრეთვე იმ სისტემის ოპერატორს, რომლის მონაწილენიც არიან, შეატყობინონ რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, გაკოტრების საქმის წარმოების, საქმიანობის დროებით შეჩერების და სხვა ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ამ პირთა მიერ სისტემის ოპერირებაზე ან საგადახდო მომსახურების განხორციელებაზე.

საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4199 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №446 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.

მუხლი 48[1]. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაცია

1. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციის გაუქმებისას (გარდა იმ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისა, რომელიც მხოლოდ ამ კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით ან/და „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მომსახურებას/მომსახურებებს ახორციელებს, და ამ კანონის 48[2] მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა) ხდება საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაცია. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდატორის ფუნქციებს ასრულებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული პირი. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისთანავე წყდება იძულებითი აღსრულება.

2. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაცია ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

3. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდატორი ანგარიშვალდებულია საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

4. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდატორი უფლებამოსილია სასამართლოში სარჩელის შეტანით სადავო გახადოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ადმინისტრატორის მიერ ლიკვიდატორის დანიშვნამდე 1 წლით ადრე განხორციელებული ქმედება ან გარიგება და მოითხოვოს მისი ბათილობა, თუ ამის შედეგად საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან დაკავშირებულმა პირებმა ამ საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ხარჯზე მიიღეს ქონებრივი სარგებელი ან ისარგებლეს რაიმე უპირატესობით, პრივილეგიით ან შეღავათით, რამაც გამოიწვია საგადახდო მომსახურების პროვაიდერისათვის ან/და მისი კრედიტორებისათვის ზიანის მიყენება.

4[1]. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაციის პროცესის დროულად დასასრულებლად საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდატორი უფლებამოსილია საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან არსებული ის საგადახდო ანგარიშები, რომელთა მიმართაც გამოყენებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი შეზღუდვები ან/და უზრუნველყოფის ღონისძიებები, ლიკვიდაციის პროცესში მყოფ საგადახდო მომსახურების პროვაიდერში აღნიშნული სამართლებრივი შეზღუდვების ან/და უზრუნველყოფის ღონისძიებების არსებული რიგითობის დაცვით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით, უცვლელად გადაიტანოს სხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერში, კომერციულ ბანკში ან/და საქართველოს ეროვნულ ბანკში.

5. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაციის დასრულებამდე ლიკვიდაციის პროცესში მყოფ საგადახდო მომსახურების პროვაიდერზე ვრცელდება ამ კანონისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნები.

6. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შემდეგ საქართველოს ეროვნული ბანკის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარედგინება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაციის რეგისტრაციის და მისი შესაბამისი რეესტრიდან ამოღების მიზნით.

საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1897 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.
საქართველოს 2022 წლის 9 სექტემბრის კანონი №1800 – ვებგვერდი, 23.09.2022წ.
საქართველოს 2023 წლის 22 თებერვლის კანონი №2610 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.

მუხლი 48[2]. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის კომერციულ ბანკად, მიკრობანკად ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციად გარდაქმნა

1. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, რომელიც სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით

დაფუძნებული იურიდიული პირია, უფლებამოსილია შეიცვალოს საქმიანობის საგანი და საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საბანკო საქმიანობის ლიცენზიის ან მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციად რეგისტრაციისთვის.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის ან მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უწყვეტად ახორციელებს საგადახდო მომსახურებას და მასზე ვრცელდება ამ კანონით დადგენილი მოთხოვნები.

3. საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო საქმიანობის ლიცენზიის ან მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ დადებით გადაწყვეტილებასთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციის გაუქმებისთანავე მისი უფლებამონაცვლე ხდება შესაბამისი კომერციული ბანკი, მიკრობანკი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.

4. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის ან მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციაზე უარის მიღების შემთხვევაში საგადახდო მომსახურების პროვაიდერი განაგრძობს საქმიანობას ამ კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს 2023 წლის 22 თებერვლის კანონი №2610 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.

მუხლი 49. გამონაკლისი ამ თავის მოქმედებიდან

ამ თავის (გარდა ამ კანონის 48^2 მუხლისა) მოქმედება არ ვრცელდება საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებზე, მიკრობანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე.

საქართველოს 2023 წლის 22 თებერვლის კანონი №2610 – ვებგვერდი, 10.03.2023წ.

მუხლი 50. ზოგადი პრინციპები

თუ არ არსებობს საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების მარეგულირებელი ნორმა, ოპერატორი ან პროვაიდერი მოქმედებს საერთაშორისო ნორმებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

თავი VIII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 51. გარდამავალი დებულება

იურიდიულმა პირებმა, რომლებიც ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას ამ კანონის ამოქმედებამდე ახორციელებდნენ, ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში რეგისტრაცია უნდა გაიარონ ამ კანონითა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 52. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2012 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი
თბილისი,
2012 წლის 25 მაისი.
№6304-Iს